

დამოუკიდებელი საქართველო

La Georgie
Indépendante
Revue mensuelle
M A I
1930—№ 53

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

შ ი ნ ა ა რ ს ი :

ნოე ქვინიანი—26 მაისი.
ნ. რაშიშვილი—განთავისუფლების სიმბოლო.
გუშაგი—ერთათ თუ ცალცალკე?
გიორგი ქუთელი—დიდი 26 მაისის ფესვები.
იღბ. გომეზია—გამარჯვებისაკენ.
ვაჟი—ფიქრები 26 მაისის შესახებ.
რ. ინგილო—დისციპლინისა და ერთობის დღე.

ს. ცირცხალავა—ისტორიული ლანდები.
პრ. ინ.—26 მაისი.
ივ. ზურაბიშვილი—ყმაწვილ თაობას.
—ლი—გ.—საქართველო ციფრებით.
მის. წულუკიძე—სიმართლის აღდგენისათვის.
საქართველოს ამბები. საბჭოთა რუსეთში.
მოწოდება ყველა ქართველ ქალებს.

2 6 მ ა თ ი

26 მაისი ქართველი ერის დღესასწაულია. მაგრამ მას კი მისი დღესასწაული არ შეუძლია. მისი ნება კლიტედადებულია, მისი ბაგე ძალით დადუმებულია.

26 მაისის დღესასწაული ამ ხანათ წილათ ზედა თავისუფალ ქართველობას, ქართველობას დაპყრობილ სამშობლოდან გამოქცეულს, უცხოეთის ჭერ-ჭვეშ შეფარებულს.

ეს დღე აერთებს ორივე ქართველობას, მთელს და მის ნაწილს, საზღვარში მყოფთ და საზღვარგარეთელთ: ამ დღეს ორივეს გულს ერთი მოგონება იტაცებს, ორივეს მაჯას ერთი ამბავი ამოძრავებს; აქ ერთდება მთელი ერი, ერთ მთლიან ნაციონალურ არსებათ გადაქცეული.

ქართველი ხალხი დიდხანს იყო დაყოფილი, დანაწილებული გეოგრაფიულათ, პოლიტიკურათ, კულტურულათ. იყო ხალხი, არ იყო ერთი ერი ჭირში და ლხინში განუყოფელი, მთელი და შემადგენელი ნაწილები ერთი აზრით და გრძნობით ერთმანერთზე გადაჯაჭვული. ასე ყოფილა ყოველგან, ყველა ხალხში.

ისტორიის გზაზე ჩნდება ახალი მოვლენანი, დგება ახალი ჟამთავითარება და ეს მიბნეულ-მოზნეული ხალხი იღვიძებს, ერთიმეორეს ხელს აძლევს, ერთ ფერხულში ებმება და სიცოცხლის ველზე ერთათ დგება. ხალხის ასე გარდაქმნა შეგნებულ ერთეულათ, საერთო გეოგრაფიის საფუძველზე საერთო სულიერი აგებულების აშენება, ერის პიროვნებასავით შეკვრა ერთი აზრით, გრძნობით და მიდრეკილებით წარმოადგენს უდიდეს რევოლუციას ხალხთა ცხოვრებაში და მას არ შეიძლება არ ქონდეს გარეგანი რევოლუციური გამოხატულებაც.

ფრანგთა ერი თავის დაბადების დღეთ თვის 14 ივლისს, ბასტილის აღებას და მას ის ყოველწელს დღესასწაულობს. აქ მან მოიპოვა თავისუფლება და დამოუკიდებლობა შინაგანი ბატონებისაგან.

ქართველი ერისათვის ასეთი დღეა 26 მაისი; ამ დღეს მან მოიპოვა თავისუფლება და დამოუკიდებლობა უცხო ბატონებისაგან; აქ იშუა ის თანამედროვე ერთა.

26 მაისის ემბაზში იშვიათი ერთსულოვანებით ეწიარა ქართველი ერის ყველა ფართო ნაწილები, ყველა კლასები. აქ აღარ აღმოჩნდა ორი აზრი, ორი მიმდინარეობა. პირიქით, ყველა აზრი, ყველა მიმდინარეობანი ერთ კალაპოტში მოექცა, ერთათ აბობობრდა, ერთ აღფრთოვანებათ გადაიქცა.

26 მაისი ქართველმა ხალხმა დაამტკიცა საჯაროთ, შეურყვევლათ თავისი პოლიტიკური სრული წლოვანება, მისი სახელმწიფოებრივობა, თავის თავის ბატონობა და პატრონობა.

და ჩვენ ვდღესასწაულობთ ამ დიდებულ დღეს; ვდღესასწაულობთ ჩვენს დაბადებას, ჩვენს სახელმწიფო ერთ აღდგენას, ჩვენს პოლიტიკური კვდრეთით აღდგომას.

იყო ეს აღდგომა საფუძვლიანი, სამარადისო, დაუვიწყარი? უეჭველია, ამას მოწმობს ქართველი ერის მერმინდელი თავგადასავალი.

მომრევის მომრევი არ დაილევია. პატარა ერს დიდი ყოველთვის მოერევა. მაგრამ როგორ, ფიზიკურათ, სულიერათ? დამარცხებულია მხოლოდ სულიერათ დამარცხებული; ფიზიკური ჭრილობა გაივლის; უკურნებელია პსინიური ჭრილობა, მორალური დაცემა, ცოცხალ ლეშათ გადაქცევა. საქართველომ დაამტკიცა, რომ ის მორალურათ ცოცხალია; ის სულიერათ არ მომკვდარა და არც მოკვდება. დროა 26 მაისის, ჩირადანი თავისუფლების მის გულში ღრმათ მარხია, ის მას თან ატარებს, აშკარათ თუ მალულათ მას ეტრფის და მის ირგვლივ ტრიალებს.

26 მაისი ჩვენი ხალხის თავის მომყრელი ზარია, მისი გულისტემის საყვირია, მისი მიმრქმელი ტაძა-

რია. ჩვენ ამ ტაძარში ვიკრიბებით ყოველ წელიწადს და ფიცს ვდებთ 26 მაისის ერთგულობაზე.

როცა რომის სარდალმა დაინახა, რომ მრავალ მონათა შორის მხოლოდ ერთმა, ბენკურმა, დაგმო ბორკილები და მის დადებას შეებრძოლა, ბრძანა—ახსენით მას ბორკილი, მასში თავისუფალი ადამიანის სული ბუდობსო.

და შორს აღარ არის ის დრო, როცა ქვეყნის უდიდესი სარდალი, ისტორია, ბძანებს: საქართველოს ახსენით ბორკილები, მასში თავისუფალი ერის სული ტრიალებს...

ნაფე ყორღანია.

განთავისუფლების სიგზოლო.

დიადი დღესასწაული წყვიდადით მოცული! ერის სუვერენობის დამკვიდრების დღე დამპყრობთა მიერ ფეხქვეშ თელილი!

ასეთია 26 მაისი, საოკუპაციო ხელისუფლების მიერ უკუგდებული და შეგინებული.

მტარვალი ცდილობს, ერი ძველ კალაპატში ჩაადგოს, რუსეთის საბოლოო ბატონობა მას თავს მოახვიოს, უფლების აყრის დასტური მისგან ამკარად მიიღოს და ასე ეროვნებაზე ხელი ააღებინოს.

რა სიგიჟეა! «ავსა კარგათ ვერეზნ შესცვლის». გათვითცნობიერებულ ერს არ შეუძლია უკან დახევა, ნაცვლათ სინათლისა ბნელეთის სამეფოში თავის დამწყვედვა და თავის არსებობაზე ხელის აღება.

საქართველომ საქმაოთ და ყველასათვის ამკარათ დამტკიცა, რომ ის თანამედროვე ერია, თავისუფლების სულით და გულით მოტრფილეთა და რომ ის მონობის მთელი არსებით მტერია.

რასაკვირველია, ოკუპაცია მძიმეთა, მის მიერ მიყენებული ტანჯვა-წამებთა აუწერელია, ტირანის ფარფაში უსახლერეთა, ბოროტმოქმედეთა უთვალავეთა.

მაგრამ ქართველეთა ერეთა კარგათ იცის, რომ «ქირსა შიგან გამაგრეთა ისე უნდა ვით ქვეითკირსა». აი ეს არის ერის საბოლოო გამარჯვების თავდები, და აი სწორეთ სულის ეს სიმტკიცე ძილს უფროსობს მტარვალს და აღსასრულის მოახლოვებთა უთითებს.

და განთა მარტო ეს გარემოებთა? მოსკოვი ამკარად ხედავს, მისი ძალთა სუსტდებთა, ხოლო მოწინააღმდეგეთა ბანაკი იზრდებთა.

1921 წელს საქართველო განმარტოებული იდეთა ომის ველზე. ამით მისი ბედი გადაიჭრთა. დღეს ქართველ ერის გვერდით იმპერიალისტურ რუსეთის წინააღმდეგ ამოძრავებულნი არიან კავკასიის ერები, უკრაინთა და სხვთა დამორჩილებულ ერთთა ბანაკი. საქათველო მთელი თავისი ძალდონით ცდილობს ამ მოკავშირეთთა საერთო საქმის გაძლიერებთა, ვინაიდან კარგათ იცის: «ვინც მოყვარეთა არ ეძებს, იგი თავისთა მტერია».

საბჭოთათა ეკონომიური შენობთა უფრო და უფრო ირყეთა. უპირველესთა ვაჭარ მრეწველნი და მემათულებნი გაძარცვს, მუწეუმები და ეკლესიები გაპატარტახებს, ხოლო კოლექტივიზაციის გამოცხადებით გლეხთთა ქონებთა მისისკუთრებს და მთელი ხალხნი,

გარდა კომუნისტთა ხროვისთა, საერთო გალატაკების მორევიმთა გადაისხრლეს. ამის შედეგეთა ვალიუტის საბოლოო შერყეთა, საგარეთო აღებმციემობის დაცეთა და საყოველთიო შიმშილობის მოახლოებთა.

ამით საბჭოთათა ხელიუფლებთა ნიადაგი მოუმზადთა თავის სრულ იზოლიაციას. დღეს მას უკანასკნელი მეგობარი, გერმანიაც ეთიშებთა და დასავლეთ ევროპასთან საბოლოო მორიგებთა ესწიფვის. მოსკოვი განათლებულ კაცობრიობთა უფრო და უფრო შორდებთა. მათ შორის ორმოც ღრმავდებთა.

თვით დასავლეთ ევროპის მუშათა წრეები და მემორტსენე ელემენტები, რომელნიც ერთ დროს აღტაცებით შეხვდენ ოქტომბრის რევოლიუციას, თანდთან რწმუნდებიან, რომ მოსკოვის მთავრობთა რეაქციის მოციქულია, კონტრ-რევოლიუციის ბიარატარია და მუშათთა კლასის დაუძინებელი მტერია.

მოსკოვთა თანაგრძნობთა უკვე დაკარგთა, ის საბოლოოთ გამიშვლებულია, მისი იმპერიალისტური სახე საყოველთაოთ გამოაშკარავებულია.

წარმოიდგინეთ, თვით კომუნისტურ პარტიას უკვე განშორდთა სული ერთობისთა, იდეისათვის ამოძრავებისთა და თავგანწირული ბრძოლისთა. პარტიის უმთავრესი ლაშქარი—ეს მოხელეთა ბრბოთა, მექრთამეთა და სხვადასხვთა ავანტურისტული გზით «პურის არსობისთა» მაძიებლეთა ხროვთა.

და აი გაქრთა ილუზიეთა საბჭოთათა რეჟიმის ძლიერებისთა, და ხალხნიც მოძრაობის ფერხულში ჩაებთა. აქა-იქ მუშები, უფრო ხშირთა კი გლეხები საბჭოთათა კავშირის სხვადასხვთა კუთხეში უკმაყოფილებთა აცხადებენ და დიქტატურის წინააღმდეგ ირახმებიან.

ეს საბჭოთათა რეჟიმისთა და იმპერიალისტურ რუსეთისათვის საბედისწერო მომენტის მოახლოებთა გვაუწყებს. რევოლუციური ამოძრავებთა დღის წესრიგში ისმებთა.

ამიტომ არის ქართველი ერი იმედით აღსავსე და თავის გამარჯვებთაში დარწმუნებული.

მან კარგათ იცის, რომ ტირანიეთა დაითრგუნებთა, ერი აღდებთა, დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკთა აღორძინდებთა.

ნ. რამიშვილი.

ერთათ თუ ცალცალკე?

1924 წელს ჩვენ, ეხლთა აზერბეიჯანი და სომხეთით! მაშინ ჩვენ დავჩრით განმარტოებული, მტრის მთელი რისხვთა ჩვენ დაგვტყდა თავზედ. დღეს იგივე ბედი მოვლით მეზობლებთა.

განთა ეს დასაშვებთა? კავკასიის ერებთა გაჯივრებთაშიც ვერ ვისწავლეთ ის. რაც დალსინებთაშიც უნდა გვცოდნოდთ. ცალ-ცალკე, სათითაოთ მოგვანჩრო მტერმთა, მაშინ როდესაც გაერთიანებული ძალით მეტი შანსი გვქონდთა გავვემარჯვნთ მასზედ.

დამხობის შემდეგ სხვთა ამოცანთა გვიდგას წინ: უღლის გადაგდებთა, განთავისუფლებთა, რათა უფრო მარტივი, უფრო ანბანური, ვინემ შეგუნებთა, რომ ჩვენ, ოთხნი ერი, გავერთიანდეთ და ერთთა დავემტეროთ მტერს? მაგრამ გადის ათი წელი და ჩვენსას არ ვიშ-



ლით: გავდივართ მოედანზედ ცალცალკე, ვითა ფა-
ლავანი.—არ ვფიქრობთ, რომ გამარჯვებისთვის მა-
რტო გმირობა არ კმარა, საჭიროა აგრეთვე ჭკუა,
წინდახედულება...

მეტყვიან, ეს მოვლენები აიხსნება ამა და ამ მი-
ზეზით, ბევრია დაბრკოლება, სწორათ გარდაუვა-
ლიო. მართალია, არ ვდაობ, მაგრამ შეიძლება ამით
დაკმაყოფილება? არ არის ისეთი მოვლენა, რომე-
ლიც ვერ ასწნა, ვერ გაამართლო ბოლოს და ბოლოს,
მაგრამ რას შევლის ეს სიბრძნე, როცა სისხლი იღვ-
რება, ერნი სუსტებიან, ბეჩადებიან და კიდევ უფრო
შორდებიან მიზანს, მიახლოების მაგიერ?!

მერმე ვინ გვადირსა მეცნიერული კვლევა-ძიება,
მიზეზ-შედგინაობა, დეტერმინიზმი... განა ამისათვის
გვცნება? არა, კითხვას პოლიტიკურათ უნდა მივუ-
დგეთ.

რას ნიშნავს ეს? იმას, რომ მოვიკრიბოთ მთელი
ჩვენი ინტელექტუალური ძალა, გამურიხაობა, გამო-
ცდილება და... ვსძლიოთ ეს დაბრკოლებანი, გარ-
დაუვალნიც კი!

მაშ რისი მაქნისია მიზანი, იდეალი, რომელიც
გვასულდგმულებს? განა სულ მოვლენათა უბრალო
ტიკინები უნდა დავრჩეთ, თუ საჭიროა ერთხელ
მაინც მოვექცეთ მათ სათავეში და ჩვენ სასარგებ-
ლოთ მივმართოთ? *

მე ვამბობ და ვიმეორებ, რომ ჩვენ, კავკასიელთ,
ჯერ არ გვიცდია ეს, არ ამოგვიწურავს ყველა საშუ-
ალებანი, არ დავგიჟიმავეს ძარღვები კავკასიის მთლი-
ანობის შესაქმნელათ, არა სიტყვით, არამედ საქმი-
თვითეულ ერში კი არა, მის ხელმძღვანელებში არაა
მიღწეული მთლიანობა!

მე არ ვეხები თვით გამოსვლებს. ახერბეიჯანის
და სომხეთის გამოსვლები კუთხურია, საქართველოს
გამოსვლა უფრო საყოველთაო იყო, ცხადია. არც
იმას ვეხები, რომ გამოსვლა დღეს დროული. მიზან-
შეწონილი არ იყო. მე ვამბობ კავკასიის მთლიან მო-
ქმედებაზე, ამის მზადებაზე...

არის ნათელი წერტილებიც, უაღრესათ საგული-
სხმიერო. თათრის და სომხის გლეხები აქა-
იქ ერთათ ეძვირენ რუსებს და ამბობს ცნო-
ბები. არც სომხეთის აჯანყება უნდა დავგავი-
წყდეს ჩვენი დამხობის წინდით, 1921 წელს.

მაშ ყოფილა ფსიქოლოგიური შესაძლებლობაც
ამ სამი ერის ერთათ გამოსვლისა! მთაზე ხომ ლაპა-
რაკიც ზედმეტია: მოუხვენარი, მამაცი, არ დააყოფ-
ნებს შემოგვიერთდეს.

ხალხს ესმის, გრძობს ინსტიქტიურათ. ჩვენ,
ხელმძღვანელთ? გვესმის, ვართ შეგნებულნი? მაშ რო-
გორ გნებავთ გაიმარჯვოთ? რას ეუბნებით ერებს,
ვინც ცეცხლშია, იბრძვის ცალ-ცალკე, კუთხ-კუთხე?
განა ისინი არ გვკითხავენ ერთ დღეს: სად იყავით,
რას ვგრებდით?

ჩემი აღტყინება, მკითხველო, ჩემი ზრახვები, ამ
ბრწყინვალე 26 მაისს თავს დასტრიალებს კავკასიის
და თვითეულ რესპუბლიკის მთლიან ფორნტს და
მის საგმირო საქმეებს.

გუშაგი.

დიდი 26 მაისის ფესვები

ყოველი ის, რაც სამარადისო და დიდებულოა,
ღრმადია ერის ცხოვრებაში ფესვებ გამდგარი.

იგია მხოლოდ დიადი და უძლეველი, ცხოველ-
მყოფელი და უკვდავი, რაც ერს, მთლიან შემადგენ-
ლობას თავისად გაუნდია, თავის არსებასთან, გულ-
თან და სულთან შეუსისხლ-ხარცებია.

ეს ბუნების კანონების სადარი ჭეშმარიტება აუ-
ცილებელი და ერთია ყველასათვის, როგორც ბუმ-
ბერაზ ერთთვის, რომელიც ფართეთ გაშლილან
განზედ, დიდი მოედნის დასაკავებლად, ისე ჩვენი-
თნა პატარა და ლამაზად მოყვანილ ქვეყნებისათვი-
საც, რომელიც აფერადებულ ყვავილების ჩაქსოვით
უმშვენიერეს ხალიჩათ გადაფარვიან თავის საკუთარ
მიწა წყალს, მის თვალ-წარმტაც წაოკოტათ გადასა-
ქცევად.

ამნაირადვე ერთია ის ბუნების კანონები, რომე-
ლიც ცხოველყოფენ და ასახადებენ დიდ ბუმბერაზ
ხეებს და იქვე მათ გვერდით ვარდის კაპწია ბუჩქებს,
იით მოფენილ მთის კალთებს, ან პურით დათესილ
ყანებს. ვერც ერთი მცენარე ვერ იხიერებს, თუ მძლა-
ვრად არა აქვს ფესვები ნიადაგში გამდგარი.

დიდსა და მთავარ ფესვებთან ერთად მცენარეს—
სულ პატარა, დაფივით წვრილი ფესვებიც ემსახურე-
ბა. თუ გნებავთ, მცენარის მთავარი მაცოცხლებელ-
გამომკვები ეს მრავალრიცხოვანი წვრილი ფესვებია;
სწორედ ისინი აწოდებენ მას, შორით-შორიდან მო-
კრებილს და მათ-მიერვე საუკეთესოდ შეზავებულ
საკვებს. მოსპეთ ფესვები და აღარ არის ას წლოვანი
ამაყი მუხა, ადამიანის მასხადობელი პურის ყანები
და სილამაზით თვალთ დამტკობი ვარდი და ია.

ასეა ფესვებ გამჯდარი ყოველი დიადი ისტო-
რიული ხანაც.

სწორედ ასევეა ქართველი ერის გულში ღრმად
ფესვებ მოკიდებული ჩვენი დიდებული 26 მაისიც.

დადგება დრო და ჩვენი მეცნიერნი და საქართვე-
ლოს წარსულის მკვლეველნი მოგვაწოდებენ მეცნი-
ერულად დასაბუთებულ ნაშრომს, სადაც რიგ-რი-
გობით იქნება აღწერილი ყველა ის ფესვები, რო-
მელიც ამაგრებ-ასახადობენ ამ დიდებულ დღეს და
სამარადისოდა ხდიან მას.

მაშინ უცხოთათვისაც ნათელი გახდება ის მარ-
თალი, რან ყოველ ქართველისათვის ისედაც ცხადია.

და ეს მართალი საყოველთაოდ მოწმობს, რომ
26 მაისის დიდებული იდეა, მისი არსი და სინამდვი-
ლე,—საქართველოს დამოუკიდებლობა,—ისეა შე-
დულებული ქართველი ერის ცოცხალ სულთან, რომ
მათი გაყრა და განშორება შეუძლებელია.

და თუ დღეს, ბნელმა ძალებმა კვლავ შებედეს
და განიზრახეს წმიდა კავშირის დაშლა-გაწყვეტა,
დადგება დღე, ჩვენ გვწამს, ჩვენ ვიცით—შეუძლებე-
ლია რომ იგი არ დადგეს.—და შერავანდელით მოცუ-
ლი 26 მაისი კვლავ აღმოჩნდება ბედნიერ საქა-
რთველოს მშვენიერს ცაზედ.

ამისი თავმდება საქართველოს ათას წლოვანი
ისტორია, ის საგმირო საქმეებით აღსავსე ისტორია,
რომელიც გვასწავლის, რომ საქართველოს ერს თვი-

სი არსებობა არ წარმოუდგენია გარეშე საქართველოს დამოუკიდებლობისა, და რომ ამ დამოუკიდებლობის მასწარდოვებელ ფესვებად მთელი ერია და რანმულ-შეიარაღებული.

დიად, ყოველი ის, რაც სამარადისო და დიდებულია,—ღრმადაა ერის ცხოვრებაში ფესვებ გამოდგარი.

ამიტომაცაა დიადი 26 მაისი, უკვდავი და სამარადისო...

ვიღებთ ქურული.

გ ა მ რ ა ჯ ვ ე ბ ი ს ა კ ი ე

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა. საქართველოს მრავალ-ფეროვან ისტორიაში 26 მაისი ბრწყინვალე დატით ჩაიწერება.

თორმეტი წლის წინათ ქართველმა ხალხმა დიდის ზეიმით იღვესასწაულა პირველი 26 მაისი.

დღეს საქართველო იძულებული არის სიხუმით ჩაატაროს თავის დიდი ეროვნული იღვესასწაული.

მოსკოვის ჯალათები არ ერიდებიან არავითარ სისასტიკეს, რომ ქართველ ხალხის სულში 26 მაისის იდეა სამუდამოდ ჩაჰკლან. მიუხედავად ამისა, საქართველოს დამოუკიდებლობა, რაც დრო გადის, მით უფრო ძლიერ ფესვებს იდგამს ხალხში და მისი საუკეთესო შვილები ათასობით შეეწირა 26 მაისის იდეას.

დღესაც მთელი ერი, როგორც ერთი კაცი, განაგრძობს შეურიგებელ ბრძოლას მოსკოვის მოძალადეთა წინააღმდეგ.

ამავე დროს ევროპის და ამერიკის პოლიტიკური მორალური თანაგრძნობა თან ახლავს საქართველოს სამართლიან საქმეს. სამაგიეროდ ბოლშევიკური რეჟიმის აღსასრული ახლოვდება. ამ რეჟიმმა ააოხრა და ნანგრევებად აქცია მთელი რუსეთი და კავკასია. ასეთი რეჟიმის შედეგად ჩვენ სულში შეგვრჩება ქვეყანა სრულიად გაღატაკებული ეკონომიურად, მოკლებული ყოველსავე სასიცოცხლო რაოს.

ამ მხრივ ბევრი რამ არის დამაფიქრებელი და გასაკეთებელი.

აი როგორ ჯოჯოხეთურ პირობებში უხდება ქართველ ხალხს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, 26 მაისის აღდგენისათვის.

გავიმარჯვებთ ჩვენ, მტერი სამუდამოთ განიდევნება საქართველოს მიწა-წყლიდან, და მაშინ ქართველი ერი თავისუფლად და თავისებურად იღვესასწაულებს თავის დიდს ეროვნულ დღეს—26 მაისს.

დრო ნუ შეგვაშინებს: რამდენიმე წელი ერის ცხოვრებაში უმნიშვნელო რამ არის. ბრძოლა ეროვნულ არსებობისათვის განსაზღვრულ დროის საკითხად არ ჩაითვლება.

ჩვენი მოვალეობა არის ეს შევიგნოთ და ამის-და მიხედვით ვაწარმოვოთ ჩვენი პოლიტიკა და შევიმუშავოთ ჩვენი ტაქტიკა.

ილხ. გიბეჩია.

ფიქრები 26 მაისის შესახებ

«მე კნლავ თავს ვიგავ. მტერი კნლავ ბევრი მახვევია ვარს. მადიან ჩემსე სმლითავ და მოქატიველი ენითავ, სიყვარულხავ მიცხადებენ, რომ დამძლიერ. კნლავ ბევრია მტერი—მინაური (და ვარეული და მე ვებრძვი მათ, თავს ვიგავ მე. ჩემი სისხლით ირწყვება ჩემი მიწა-წყალი, ჩემ სისხლს ღვრის ვარემე და მინაური მტერი—თავს ვიგავ მე, თავი მიყვარს მე, სიღვრხლე მწყურთა მე და ამიტომ თავს ვიგავ».

ქოლა ლომთათიძე.

აი რა ფიქრები მიპყრობენ. როცა ჩვენს ისტორიას ვუკვირდები! დიახ, ფიქრები!..

ან სხვა რა უნდა მოგწერო, მეგობარო, თუ არა ფიქრები?!

ფიქრები იმის, რაც ჩემთვის და შენთვის საუკეთესოა, რაც ამ ეპოქაში ჩვენი ცხოვრების შინაარსს შეადგენს.

ფიქრები იმის, რასაც უამრავი მსხვერპლი შეეწირა და ეწირება და რასაც სამშობლოს თავისუფლება ეწოდება.

და განა ამის შესახებ ყველანი არ ფიქრობდენ და არ ვფიქრობთ?

ვფიქრობთ ყველანი: მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ, ისინი.

ფიქრობს იქ ქართველი ერი, ყოველი მხრით შევიწროებული, შეკრული და დატანჯული.

ფიქრობენ ისინი, რომლებიც ჩვეის სარდაფებში სხედან და შორეულ ცივ ქვეყნებში იტანჯებიან.

მათ აკაყებს თავისუფლების იდეა, მათ გულს ათბობს 26 მაისის სიყვარული.

ამიტომ არიან ისინი გმირები, მტკიცე და შეუწყველნი.

26 მაისზე ფიქრობს სამშობლოდან გადახვეწილი «უცნობი ემიგრანტიც», რომელიც სადღაც ქარხანაში მძიმე მუშაობას ეწევა. მაინც მღერის—არ გავცვლი მე ჩემ სამშობლოს სხვის ქვეყნის სამოთხეზედა...

და განა ისინი, რომლებიც გმირულათ იღუპებოდენ, 26 მაისზე არ ფიქრობდენ?!

ფიქრობდენ და ამიტომ იღუპებოდენ გმირულათ. ლაჩარს თავისუფლებებზე ფიქრი არ ძალუძს, მარტო თავი ახსოვს და არა სამშობლო.

ჩვეისტების მიერ დევნილმა ძველმა რევოლუციონერმა სილიბისტრო ჯიბლაძემ განა 26 მაისზე ფიქრებში არ დალია სული?

და განა საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებმა იგი 26 მაისის შიშის გამო არ დასაფლავეს ქურდულათ და მიუყენეს მის საფლავს დარაჯი?

დარბაისელი კოტე აფხაზი, რაინდული ვარდენ წულუკიძე, სიცოცხლით სავსე გოგი ხიმშიაშვილი და მათი ამხანაგები ჩვეისტებმა ხომ მისთვის დახოცეს ავანაკურათ, რომ ისინი 26 მაისზე ფიქრობდენ და სამშობლოს განთავისუფლება სურდათ?..

ქაბუკი და ახოვანი გოგიტი ფალავა, რომელმაც კომუნ. მახარაძეს პირველმა უთხრა საჯაროთ: ქარ-

თველი ერის სახელით გიცხადებ, რომ თქვენ მოსკოვის ჯარით დაიპყარით საქართველო და ქართველი კომუნისტები კრემლის აგენტები ხართო, ხომ იმითმ დაარჩა საქართველოში, რომ რუსის ჯარისგან 26 მაისის განთავისუფლებას ფიქრობდა?

და განა ნოე, ბენია, ვალიკო და ვასო მიტომ არ დაბრუნდენ საქართველოში, რომ 26 მაისის განთავისუფლება უნდოდათ და მასზე ფიქრობდენ?

შენი არ ვიცი მეგობარო, და მე კი მწამს, რომ გოგიტა ღიმილით შეხვდა სიკვდილს, ნოე—წარბშეუხრელათ, ბენია—თავაწეული და ვასო—ირონით.

და ეს ასე იმითმ, რომ ისინი თავისუფლების სიყვარულის ძალით იყვენ გაფოლადებულნი. 26 მაისი კი, თავისუფლების სიმბოლოა.

და მე ვფიქრობ, რომ ეს თავისუფლების სიყვარულის ძალა ძლიერია ქართველ ერში და იგი ამიტომ აუცილებლათ მოსძებნის მათ საფლავებს.

და განა ის ახალგაზდობა, რომლებიც ჩეკისტებმა დახურულ ვაგონში ტყვეობაში დატოვეს დახრცეს, 26 მაისზე არ ფიქრობდა და ეროვნულ ჰიმნს არ იმღერდა?

ვფიქრობ მე 26 მაისზე და ვამბობ ჩემთვის: ყველა ამ გმირებს ქართველმა ერმა ძეგლი უნდა დაუდგას, ისე, როგორც საფრანგეთმა—«უცნობ ჯარისკაცს». ისე როგორც ჩეხო-სლოვაკიის ყოველმა ქალაქმა, ყოველმა სოფელმა დაუდგეს ბრძოლაში დახრცილთ, ისე ჩვენც უნდა დაუდგათ. შიგ მათი სურათი ჩავსვათ და ზედ წითელი ასოებით დავაწეროთ—ესენი არიან 26 მაისის განთავისუფლებისთვის ბრძოლაში დაღუპულები.

მე ასე ვფიქრობ, და მწამს, რომ ეს ასე იქნება.

და განა, მურვან-ყრუს მიერ წამებულ არგვეთელ დავითსა და კონსტანტინეს ქართველმა ერმა არ დაუდგა ძეგლი სამშობლოსა და რწმენის გმირულათ დაცვისთვის?!

ვფიქრობ 26 მაისზე და თვალწინ მიდგება გრიგოლ ლორთქიფანიძის, ალ. დგებუაძის, ვლ. ჯიბლაძის, ზ. გურულის, ლ. რუხაძის და სხვების წამებული სახე, რომლებიც მოსკოვის დიქტატურას 9 წელიწადის მძევლების პირობებში ყავს—ჯერ მეტეხის ციხეში, შემდეგ სუხდალის საპყრობილეში. მერმე გადასახლებაში და ესლა ვორონეჟის ციხეში.

შენ ალბათ იცი მეგობარო, რომ ისინი მეფის დროსაც დიდათ გაწამებულნი იყვენ ციხე-ციმბირით.

შენ ისიც მოგეხსენება, რომ ისინი დიდი ინტერნაციონალისტები არიან, მაგრამ ამავე დროს სამშობლოს დიდი ერთგულნი და 26 მაისისთვის მებრძოლნი.

მიუხედავათ იმისა, რომ ფიზიკურათ დაავათმყოფდენ და თმაც გაუთეთრდათ, სული მათი მტკიცეა და ნებისყოფა ფოლადისებური.

და განა ვინ არ ფიქრობს დღეს 26 მაისზე?

აი ის გლეხი, რომელსაც მოსკოვის ბრძანებით ოჯახი აუფორიაქეს, სარწმუნოება შეუგინეს, შრომის თავისუფლება წაართვეს და მონათ აქციეს, ამბობს: «ნოე ქორდანია დაბრუნდებაო».

მან ალბათ იცის, რომ «ნოე ქორდანია ვერ დაბრუნდება» ისე, თუ 26 მაისი არ დაბრუნდა.

და განა მარტო ჩვენ ვფიქრობთ 26 მაისზე? არა მასზე მტერიც ფიქრობს, მისი აჩრდილი მოსვენებას არ აძლევს.

რა უყოთ რომ აკრძალეს! ეს იმას ნიშნავს რომ 26 მაისი ძლიერია. ასე ვფიქრობ მე.

26 მაისმა ქართველი ერი გააჯანსაღა, გააძლიერა და დაარზმა. აი ამ შავ დროსაც, იგი წინ მიდის.

მან შეიგნა, რომ ძალა ერთობაშია.

მე ვფიქრობ, მეგობარო, დღეს კიდევ მასზე, რომ ჩვენი დიდი პოეტები ილია და აკაკი, 26 მაისს, ჯერ კიდევ ჩვენს დაბადებამდის უმღეროდენ.

— არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებსო.

აკაკი ამბობდა:

«არა, აყვავდეს იმედი,
გულს ვერ გამიტეხს ჭალარა,
გმირებს უძახის, უყვიის
ჩემი დაფი და ნალარა»-ო.

მაშ, მე რა უფლება მაქვს, არ ვიფიქრო 26 მაისზე!.. შეიძლება შენ გონია, მეგობარო, რომ მე სავსებით დავგლახდი, დავჩაჩანაკდი?

რა ვუყოთ, რომ ჭლექისგან ლოგინზე ვარ ნახევრათ მიკრული!

მართალია, ექიმები ამბობენ, ასეთ ავათმყოფს ფიქრი და წერა სწყენსო. სისულელეა.

განა უფიქრალი და უმოქმედო კაცი მკვდარზე უაფესი არ არის?

მე კი, სანამ ცოცხალვარ, სიცოცხლე მინდა.

და აი მე არ მინდა მკვდარს ვემსგავსო და ამიტომ ხშირათ ვფიქრობ მასზე—რატომ დავკარგეთ დამოუკიდებლობა და როგორ და რა გზით შეიძლება ისევ მისი დაბრუნება.

შენ ამის პასუხი გინდა, მეგობარო?

გეტყვი:
ისევ იმ გზით, რომლითაც 26 მაისი მოვიპოვეთ. დასაცავათ კი საჭიროა სხვა ზომები და სხვა გზები.

აი ჩემი ფიქრები.

აკაკი.

დისციპლინისა და ერთობის დღე

ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის თარიღის გახსენება ბუნებრივად ჰბადებს ქართველი ერის ერთბამათ ყოფნის საკითხსაც. ყველა სხვა ხელისშემწყობ გარემოებათა გარეშე საქართველოს თვითმყოფლობის გაგრძობა შესაძლებელი გახდა უმთავრესად ორი ფაქტორის შემწეობით, სახელდობრ ქართველთა მიწაწყალის უნიტარული მდგომარეობითა და მისი მოსახლეობის ამგვარივე ეროვნულ-პოლიტიკური განწყობილებით. ეს ორი გარემოება აღვივებდა და ჰზრდიდა დაკარგულ თავისუფლების დაბრუნების საჭიროებასა და მის ფსიქოლოგიურ აუცილებლობას. სამეფოებათა, სამთავროებათა და ებრვე სხვათა დაგლეჯილი ქართული სახელმწიფო სხეული ასე ადვილათ ვერ განაარსებდა ერის შემკრებილობით ზრახვებს და 26 მაისიც უმჯობეს შემთხვევაში გადიდებოდა.



აქ აღნიშნული ორი ფაქტორი უმეტეს მნიშვნელობას აკლავს ეხლანდელს ვითარებაში, როდესაც ომში დამარცხებული საქართველო ფიზიკურად მტერს ჩაუვარდა ხელში: ცხრა წელიწადი მუხრუჭამოდებულია ხალხი; ცხრა წელიწადი გაუნღლებელ სისხლიან მოქმედებაში არიან მოსკოვის ემისარები, რომ ჩაკლან ქართველობაში ნაციონალი გრძნობა და შეგნება და შეუზიარონ იგი ბოლშევიკურ «ინტერნაციონალს»; ცხრა წელიწადი ლახლანდარულად ფეხქვეშ ითვლება ისტორიულად თან შეზრდილი და წინაპართაგან მომდევნო იდეალები და ყველა ის, რაიცა ერის ნიშანდობლივ სახეს შეადგენს; მოკლედ ცხრა წელიწადი ფიზიკური განადგურებისა, ხოლო მორალური რყენის ცდისა! გარნა ვიკითხოთ, რა ჩაიწერა დამპყრობელმა აქტივში მთელი ამ ხნის მანძილზე? სიმართლე ჩვენთან იქნება, თუ ვიტყვი, რომ ვერაფრისაგან ვერაფერი, თვინიერ ისევ ამ ფიზიკურ და აზროვნებისა! ამის გარეშე არც ერთი მოგება, არც ერთი გეგმის განაღდება! მიზეზი? ერთბაში საქართველო, ერთბაში დარაზმულობა ქართველი ხალხისა!

26 მაისი ოქროს ასოებით ამოიკვეთა ქართველობის შეგნებაში, როგორც თარიღი გარდუვალ მცნებათა შენახვისა, ეროვნულ მისწრაფებათა გამოჩენისა, ადამიანური ღირსების აღმალლებისა, უფლებრივ მყოფობის წახალისებისა და განმტკიცებისა. ამ დღემ ისტორიულ სიღრმიდან გადმოიტყარცნა ქართული პოლიტიკური შეგნების მთელი ის ბოლოტიური თვისება, რამაც მას ხანდაზმულ სახელმწიფოებრივ ერის სახელი მოუხვეჭა და რის გაქარწყლებას უკუღმართი მეცხრამეტე საუკუნე ამაოდ ლამობდა. ოცდაექვსე მაისს ტფილისში აფრიალებულ სახელმწიფო დროშის ქვეშ ბითუმად დადგა ქართველი ერი და დღესაც უცვლელად სასოებით აღსავსე მის კალთებს თალხებმოსილი თავს აფარებს.

დღეს ყოველი პატრიოტი ქართველისათვის ეს ბიარალი მსგავსად ცისარტყელისა გადაჭიმული არის ივერიის ცაზე, ეს არის მისი მზეცა, მთვარეცა და ვარსკვლავთა გუნდენი. შემოხიზნული მტრის მეცადინეობაც სწორეთ იქითკენ მიიმართება, რომ აპკლიჯოს ჩვენს ცას ქართული ფერები, ან თუ არა და გამოაცალოს მის კალთებს ქართული რაზმები.

ეს თუ ასეა—და ამაში ეჭვი ხომ არავის ეპარება—მაშ ჩვენი უწინარესი პოლიტიკური ამოცანა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ მტრის მურტალი ხელები არ მიუშვას აქეთაკენ. თუ ოდესმე ერთობა და ამხანაგობა მებრძოლ ქართველთათვის სარწმუნო წინამძღვრობას ეწეოდნენ, ამჟამად მათი ასეთი თვისება ათეცად მატულობს. ესლაა სწორეთ, რომ გვეჩივრია გამტანლობა, თანამშრომლობა, ნამდვილი ამხანაგობა! ყური დაუგდეთ, რას გვეუბნება ბრძენი საბა-სულხანი ამის თაობაზე: «..... ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სიმაღლე დაურღვეველია... ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია, ზურგთა მბმელია; ამხანაგი მტერთათვის მაზიანებელია, მოყვარეთათვის საიმედოენა, უცხლსთანა გამოსაჩენია და მეცნიერსათანა მოსამსახურეა...»

როდესაც ადამიანი ამხანაგურად შემტკიცებული და სიტყვამოცემული არის, მთელის არსებით ებმება მოქმედებაში და თავის გულისყურს საქვეყნო საქმეთა გარეშე არა ჰხრის. მუწხარება უნდა გვიპყრობდეს, როცა ვამჩნევთ, რომ ზოგიერთი მებრძოლნი ცდილობენ განცალკევებული გეზით მისდიონ საერთო მტერს და განსხვავებულათ აწარმოონ საქართველოს განთავისუფლების ბრძოლა მაშინ, როდესაც მთელი ინტერესი საქმისა, ერთობისა და ამხანაგობისაკენ მოგვიხმობენ.

მე სრულებით უსაფუძვლოთ მიმაჩნია «ბრძოლის ხმის» მტკიცება, თითქოს ეროვნულ ცენტრიდან განდგომილები წამოეგნენ იმ ანკესზე, რომელიც ბოლშევიკებმა სეით დევდარიანის რჩევით საწლვარგარეთ გადმოისროლეს აქ მყოფ ქართულ ძალების დასაშლელათ.

ასე არ არის თუნდაც იმიტომ, რომ ჩემ მიერ წოდებული «სეცესისტური» მოძრაობა უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე დევდარიანის ხრინწიანი ხმა გამოიკნავლვდა. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, განაყარნი საერთო საქმის საძირკველს ჰფუშავენ, მათი ხელები მათ უნებურათ ბოლშევიკურ მტრავკ კედლებს კირს აშველებენ.

ოცდაექვსე მაისი მარტო მოგონებათა დღე როდი არის: ეს თარიღი ბრძოლისაკენ გვიხმობს, ოცდაექვსე მაისი თავის აღდგენას მოითხოვს ყოველი ქართველისაგან, შურისაძიებლათ იხმობს შეგინებულ მამულის შვილებს.

ოცდაექვსე მაისი პოლიტიკურ ფიქრიანობის უნდა გვასწავლიდეს, ჯგუფურ ზრახვებს გვაშორებდეს. პატრიოტა და სახელიც ყველას მაშინ დაედება, როცა ქვეყანას მტრის უღელი აყურება. ესლა არაფერი გვაქვს გასაყოფი—ღმერთი და რჯული!!

ვის ებრძვით აქ? რის გულისათვის ჰხმავართ? საქართველო განზე დგა. მას აურვებს ჩვენი უწმაწური აყალმაყალი. ნუთუ დაგიძიმდათ ყური და თქვენამდის აღარ ატანს მისი სალამური?! «ცხოვართა ჩემთა ხმისა ჩემისა ისმინია, და მე ვიცნი იგინი, და მომდევნ მე (იოან. 10. 27.).»

ყოველი გარდახდილი 26 მაისი იმას უნდა შეგვახსენდეს, რომ სამშობლოს თვითმყოფობის აღდგენა მხოლოდ ქართველობის უდრეკი ერთობით შესაძლებელ იქნება. მტერმა ეს უკეთ გაიგო, ამიტომ არის, რომ მან ყველაზე ანჩხლათ ჩვენი ერთობის დაფუშვას მიჰყო ხელი. დრომ მოახწია დავანახათ მტერს, რომ მის წინამდევ ბრძოლაში ჩვენი ერთობა გაუტყველია. ქართველობის ერთობა დაეწვეა მას და კისერიც სწორეთ ამ ერთობით წავგრიხება! ერის რისხვას მტერი ვერსად გაექცევა: «ღმერთი ჰარამზადას ურმით დასდევს, მაგრამ მაინც დაეწვეა ხლამე», ასე უთქვამს ჩვენ ხალხს!

წლებანდელი 26 მაისი ერთობის, ზახილით უნდა ჩატარდეს. სხვათ გზით არ ივლის მამულის დამტირალი: «სადაც არს საუფჯე თქვენი, მუნცა იყოს გული თქვენი (მათე ნ. 21.).»

რ. ინგილო.



ისტორიული ლანდები

რომის ჯარების შემოსვლამ საქართველოში დიდი არევა გამოიწვია. სასტიკი ბრძოლები იყო, ქართველები გმირულად იცავდნენ თავის დამოუკიდებლობას. მეფე ფარსმანი ყოველივე მორიგების უარს ამბობდა. რამდენიმე ხნის შემდეგ რომაელებმა სამხედრო მოქმედება შეაჩერეს—გეგმას ცვლიდნენ თუ დამხმარე მეომრებს მოელოდნენ.

ამ შემოსევის დროს მოსახლეობა დაიძრა—ნაწილი მიუვალ მთებში გაიხიზნა, ნაწილი სამხრეთ აღმოსავლეთის საზღვრებს მიაწვა. რამდენიმე ოჯახი სომხეთის პირას, ქართლში დაბინავდა, ტყის გვერდით გამართეს კარვები და იქ თავი შეაფარეს. იყვნენ იბერები, კოლხები, მესხები. სხვადასხვა ტომი, რომელიც გაქვივრებას და მტრის დევნას მჭიდროდ შეეკავშირებია. თავს მეტწილად ნადირობით ირჩენდნენ. მაგრამ მათ შორის იყვნენ უპატრონონი, ჩვილი ბავშვები—მშობლები ბრძოლაში დახვდოდნენ ან ვერ აეტანათ გრძელი და მძიმე მოგზაურობა. შიშველნი კარდაკარ დადიოდნენ და მათხვრობდნენ.

სამხინ—ოთხი ხუთი წლის თუ იქნებოდნენ—სოფლის მამასახლისის ბინას მიადგენ. ძაღლებმა კინაღამ დაგლიჯეს. მაგრამ უცბათ ოჯახის დედა გამოვიდა, ღიმილით და ალერსით მიეგება ბავშვებს. შინ შეიყვანა, დააპურა, ტანთ შემოსა და უზრუნველა. ამ დღიდან თავი არ გაუნებებია, თავის შვილებთან ზრდიდა, ნამდვილი დედობა გაუწვია და როცა ქმარი ხანდახან უსაყვედურებდა: რა აიკიდე ეს უცხო, გადამთიელი ბალღებიო, ქართლის დედა სიყვარულით უპასუხებდა:

— არა, არა, ეგენი სხვანი არ არიან; ჩვენები არიან, ჩვენი სისხლის და ნათესავი. ქართუს ძუძუ ყველასია—მესხი, კოლხი, აბასხი, ლასხი, ქართული—ერთია ერთი! იქნება ქართული ერი, იქნება საქართველო!

ახალგზნა საურმაგი ფრიად წარჩინებული იყო მეფის კარზე, ჯარის წინამძღოლი. ეხლახან დაბრუნდა ბრძოლის ველიდან და მცხეთაში გასაოცარი ამბები დახვდა: ერთს ტყვექალს ნინოს მეფე-დედოფალი დაუბრძავებია, ძველი კერპები დაუმსხვრევია, ახალ რჯულს ჰქადაგებს ვიღაც ურჩის; იესო ნაზარეტელისაო. გაბრაზდა, გაწყრა, ცეცხლივით აინთო,—ეს ხომ ქვეყნის დაღუპვაა: არმაზი დაიქცა—მამ ქართლიც უნდა დაიქცესო. უთუოდ მაგნე იქნება ის ქალიო.

გადაწყვიტა საკუთარი ხელით მისი მოკვლა, მოკვლა კი არა, წამება—ათჯერ მოკვლა. შუალამე გადასული იყო, რომ შეიჭრა ნინოს ქოხში, რომელიც განცალკევებით იდგა. ხელში მახვილი ეჭირა, რომ მყისვე ჩაეცა მტრის გულში. მთვარის შუქი შეეცა კარებში და დაინახა: ნინოს ხელეში აღემართა და თავის ღმერთს ევედრებოდა. მეტად ლამაზი ჩანდა. მოიხედა, არ შემკრთალო; სათნოებით, სიმშვიდით აღსავსე თვალებით შემოხედა საურმაგს და მის სახეზე ამოიკითხა მისი გულის ფიქრები. უთხრა: რაისთვის მოსულხარ, რა გავიზრახავს, უბედურო! ღმე-

ბიერთა დააქცერდა ვაჟს და რალაც უხილავი, გრძნული სხივი ჩაანათა მის გულში. საურმაგს მოწყდა სასინელი სიმძიმე. თავიდან ფეხებამდე ჩაუარა და ჩასკდა უფსკრულში. ნინო განაგრძობდა: განა მტერი ვარ? მხოლოდ სიყვარული და სინათლე მომიტანია და ქართლის ყოველი მკვიდრის გულში მინდა დავანთო იგი. იყავ მწე ჩემი!

საურმაგი გარეტიანებული შეპყურებდა. მერე შეირბა. მახვილი შორს გადაისროლა, მუხლებზე დავარდა და შეღალდა: მიბრძანე, ასულ! მონა ვარ შენი!—თქვა და მდუღარე ცრემლებით დაალტო ნინოს კალთა.

გათავდა. მრავალი ბრძოლა, ქარიზხალი, ტალღათა ხეთქა დასრულდა. გადაწყდა: შოთა ხვალ დილით მიემგზავრება იერუსალემს, სადაც აღიკვეთება ბერად. სამუდამოდ მიდის ამ სოფლიდან. სტოვებს ყველაფერს—სტოვებს მშვენიერს საქართველოს, დღეს ამაღლებულს, აყვავებულს, ძლიერს და სტოვებს ღვთის სწორს თამარს, ოცნების სილამაზის განსახიერებას, ღვთიურ გონების და გულის ჭურჭელს...

თამარი უყვარდა გახელებულად. მაგრამ უყვარდა ვინ. რისთვის? უყვარდა თამარი ქალი, უნახავი სიმშვენიერის, თუ ადამიანი, რომელშიაც დაბუდებულიყო თვით ღვთაება; თუ მეფე მადიდებელი საქართველოსი? თუ ყოველივე ეს თავსდებოდა თამარში, ვერ თავსდებოდა და ვერ რიგდებოდა შოთას გულში: ქალის სიყვარული ღვთაებას შელახავდა და ღვთაების სიყვარულისთვის ქალის დათმობა რომ არ შეეძლო?..

დღეს გათავდა. სხვა გზა აღარაა. საღამოს უკანასკნელად ნახავს და გამოეთხოვება თამარს. წავა და იქ, მაცხოვრის ტანჯვის ადგილს, გულში ჩაიმარხავს დაუძლეველს სიყვარულს.

რას ფიქრობდა თვითონ თამარი? არ უყვარდა? უყვარდა შოთა მთელის თავის ნაწის გულით და ცრემლებს აფრქვევდა «ვეფხისტყაოსანის» კითხვის დროს, რომელიც მისთვის მეორე სახარება იყო. ხოლო გაურბოდა ამ სიყვარულს, არ უნდოდა. მისი მოწოდება არა ამ ქვეყნიურთა იყო, ღვთის ნებას აღასრულებდა, საქართველოს პატრონობდა. ავმარუსმა მოინდომა მისი დაუფლება, ეხლა ჰყავს ქმარი, შვილების მამა—დავითი და ეს ქმარა მიწიერისათვის. სხვა ზეცას ეკუთვნის. ზეცას და ქართველს ერს.

მწუხრის ლოცვის შემდეგ იხმო თამარმა შოთა. დუმილით შეხვდნენ ერთმანეთს, თითქმის არა უთქვამთ რა. ღრმა ფიქრებში ჩაფლულთ. ორივეს ესმოდა ერთი მეორის გულის ცემა. ჰფიქრობდნენ, რომ მათი სიყვარული ქვეყნის დასაბამიდან იყო და იქნება მარად. სოფლის უკანასკნელ დღემდე. ვერც დრო და ვერც მანძილი მათ ვერ დააშორებებს.

თამარმა გადმოიხსნა ოქროს ჯვარი, გადაკიდა შოთას, ეამბორა შუბლზე და უთხრა: ილოცე ჩვენთვის, ილოცე საქართველოსთვის!...

შაჰ-აბაზი სადღესასწაულოთ არის მორთული. ორი დღეა საქართველოდან დაბრუნდა. ნახევარი

ქვეყანა გაანადგურა. მრავალათ ამოხანდა სულები. კიდევ იურჩებენ უღვთონი? ველარ! დღეს დედოფალი ქეთევანი აქა მყავს. ცეცხლით დავსწვავ, სადგისებით დაუჩხველეთ გულს და მოგტყნავ: ვაგმობინებ თავის რჯულს და ჩემს მხველად გავხდი, გვერდში დავიწვენ და გავთელავ მის სილამაზეს!

შაპი წინდაწინ დარწმუნებულია გამარჯვებაში და ადრევე ხარობს, ღმილი ჰკრთის მის ბორცტ სახეზე.

ქეთევანის წამებას უკვე შეუღღენ მოზორებულ ოთახში და ირანის ბრძანებელი წუთ წუთზე მოელის მხარობელს. მაგრამ იგვიანებენ. დრო გადის. არაფერი ისმის. შაპაბაზი წამოვარდება, ხელს ხელზე დაჰკრავს და დაუძახებს: ჰეი, ვინ არის მანდ?

შემოდის ნელის ნაბიჯით კარის უფროსი და მოახსენებს: მეფეთ მეფეო, დედოფალი სიკვდილის პირზეა, მაგრამ უარობს...

შაპაბაზი სიტყვას გააწყვეტინებს: დამეკარგე და შენისავე ხელით გაიგმირე გული!—ჰეი, მეახლით ვინ არის მანდ? კიდევ დაუძახებს. კვლავ მოახსენებს მეორე: დედოფალი სულს ძლივსლა ითქვამს, მაგრამ არ დაგმორჩილდა.—წადი, ეახლე ჯალათს, რომ მოგკვეთოს თავი? შეუტევს ბრახ მორეული შაპი. შემოდის მესამე და კანკალით ამბობს: მეფეთ მეფეო, დედოფალი ქეთევან გარდაიცვალა და მისი უკანასკნელი სიტყვა იყო: საქართველო!

ოსმალეთი თანდათან შემოდოდა საქართველოში. მესხეთის მეტი ნაწილი დაიკავა, სოფლები ააოხრა, მკვიდრთა ძალათ მაჰმადიანობა მიადებინა. ჯერ დაუპყრობელ ადგილებში მრავალი გამოქცეული გადმოდიოდა და საშინელ ამბებს უამბობდენ თავის მოძმეებს.

იმერხევის მარჯვენა ნაპირზე ლომიძის სახლში მისი ცალი ნათელა სავაზშმით სუფრასა შლიდა, თუმცა ჰამის გუნებაზე არავინ იყო: გაღმიდან ცნობა მოვიდა, ოსმალები დაგვეხსენო—იქ კი ნათელას მშობლები ცხოვრობდენ. უტბათ სახლის კარს თითქმის ვილაცა დაეტაკაო და კივილი გაისმა. ნათელა და მისი ქმარი კარებთან მივარდნენ, გააღეს, ნახეს: მიწაზე ნათელას მოხუცი დედა ეგდო, უგრძობლად, გასისხლიანებული, მთლად სოველი. სახლში შემოიტანეს, უსალბუნეს, მოასულეიერეს.

მოხუცმა ხმა ამოიღო მძიმედ: დავიღუპენით, ამოგვწყვიტეს... აღარაა მამაშენი, შვილო, შენხ მძენი, ოძლები, მათი შვილები—დახოცეს, დასწვეს... მე ერთმა ვუშველე თავს, ორი თოთო შვილისშვილი გამოვიტაცე, მეგონა. იმათ მაინც გადავარჩენდი... მოვბოდი, მდევრებმა დამჰრეს, გადმოვეშვი მოვარდნილ მდინარეში... მაგრამ მიმტყუნა ძალამ... ბავშვები წყალმა შთანთქა და მე კი ნაპირზე გამომავდო..

მოხუცი დადუმდა, კვდებოდა. უკანასკნელი ღონე მოიკრიფა და იტყოდა კიდევ: ვიღუპებით, თათარი დაიპყრობს მთელ ქვეყანას, წაგვართმევს რჯულს, წაბილწავს ჩვენს საყდრებს, შელახავს ჩვენს სინდისს, ყველაფერს დაკარგავთ... მაგრამ დაიმარხე, შვილო, გულში ჩემი ანდერძი და საშვილიშვილოთ გადაეცი:

—არ დაკარგოთ ენა, ქართული ენა!—ამ სიტყვებთან ამოიღო უბიდან სათუთად გამოხვეული საოჯახო განძი, რამდენიე საუკუნის მახსოვარი ქართული ხელნაწერი და გადასცა ნათელას. თან დაავედრა: არ დაკარგო, გაუფრთხილდი შვილზე მეტად!..

გენერალი ლაზარევი გაცხარებული, დაუკითხავად შევიდა მარიამ დედოფლის ოთახში. დედოფალი ტახტზე იჯდა, ძლიერ დაღონებული უკანასკნელი ამბებით. ლაზარევი ტლანქათ მიმართა:

მზად ხართ? უნდა გამეგზავროთ რუსეთისაკენ.—გენერალო, ზრდილობა გმართებთ, ვაკვირვებით მიუგო მარიამმა: მე დედოფალი ვარ.—ალარ! —დედოფალი ქართლის და კახეთის!—მოისპო ერთიც და მეორეც.—სტყუით.—ხვალ არ იქნება იმერეთი, გურია, ოდიში—არის მხოლოდ ერთი რუსეთი.—არასოდეს!—ასე ბრძანა იმპერატორმა და აღსრულდება.—ის ვერ უბრძანებს საქართველოს!—გენერალმა ჰქუსლი დაკრა იატაკს და დაიყვირა: წავშაღეთ საქართველო, მისი მეფობა და ერი—ყველანი რუსის იმპერატორის ყმები ხართ. მაგრამ დროს ნულა ვკარგავთ, გამოაყევით!

ეს სიტყვა და დედოფლისაკენ წაიწია წამოსაყენებლათ.—ვერაგნო და უპირონო! შეუტია გააფთრებულმა მარიამმა და უტბად მომარჯვებული დანა ჩასცა გულში მოძალადეს. მოჭრილ ხესავით დაეცა გენერალი.

რამდენიმე წამს უძრავად იდგა დედოფალი, მერე გააღო კარი და დაუძახა ლაზარევის მსლებლებს: რუსნო, შემოდით, მე მზად ვარ!

მაისის 26. 1918 წელი. იშვიათი დღეა. მზე თამაზობს. ტფილისი ღელავს. ქუჩები სავსეა ხალხით. დიდს ისტორიულ ამბებს მოელიან.

მძიმე ავადმყოფს, ფერმიხდილს დედას ჩახუტებიან ქალი და ვაჟი და აღფრთოვანებით უამბობენ, რაც უნდა მოხდეს: დღეს უნდა აღსდგეს საქართველო. ის იქნება დამოუკიდებელი სახელმწიფო: გაწყვეტილი ისტორია გამოვლდება და თავასუფლების დროშია მალა, მალა აფრიალდება.

დაუჯერებელია, მაგრამ ნამდვილია. ოცნება გახორციელდა. სიზმარი ცხადი იქნა და რასაც მხოლოდ გულში ატარებდა ქართველი ერი, დღეს საქმეა.

ავადმყოფი სმენად გადაიქცა. გარედ ხმაურობა ძლიერდება. იგრილა ვაშამ. ისმის მუსიკა. ეს «დიდება»—დიდება საქართველოსი. დედას თვალები გაუბრწყინდა, ტანში ძალა იგრძნო, ზე წამოდგა, წელში გაიმართა. წამოსასხამი მოიხურა, სარკმელთან მივიდა და ცას შეხვდა: მხეს გარშემო ოქროს რგოლი შემორტყმოდა. სასოებით წარმოსთქვა: ბედნიერება ყოფილა ქვეყნად! მერე უხმო შვილებს, გულში ჩაიკრა, გადაკოცნა და მიუთითა იქით, საიდანაც ზენი მობა ისმოდა: მე დამტოვეთ, არა მიშავს; წადით იქ, იმხიარულეთ თქვენც. იღვესასწაულეთ თქვენც სამშობლოს აღდგენა და ჩემი ამბორი მიუძღვენი მას, ვინც პიოველმა სიტქვა «თავისუფლება»...

სალამოს სახლში რომ დაბრუნდნენ შვილები, დედა მკვდარი ნახეს სარკმელთან სავარძელში: მის სახეზე სამარადისონეტარება იყო აღბეჭდილი.

სამინელი ღამე იყო. თენდება. უკანასკნელი ქართველი ჯარები სტოვებენ ტფილისს. წითელარმიელები შემოდინან სამხრეთ-აღმოსავლეთით. ერთ ვიწრო ქუჩაზე სამი ქალი იდგა, 8—9 წლისანი, ხელ ხელ ჩაკიდებულნი, თითქოს არავის უპირებდნენ წინ გაშვებას. განთიადზე მათი სახეები ციურის სიმშვენიერით ელვარებდნენ, უძილო, ნამტირალევი თვალეებით გამოიციქირებოდნენ. ვილაცას მოვლოდნენ.

რუსის ჯარის ცენზოსანთა პირველი რაზმი გამოჩნდა, წინ ქართველი კომუნისტები მოუძლოდნენ მოსკოვის დროშით.

გოგონებმა დაიჩოქეს, ხელები გაიშვირეს ერთი-საკენ, ჭალარისაკენ და ერთხმად შეყვირეს: ძიავ, ძიავ! ნუ შეხვალთ ტფილისში, ნუ!—ვინ ხართ, ბალღებო, და რას ბოდავთ. გზა! მრისხანედ მიუგო წინამძღოლმა.— ძიავ, ნუ, ნუ ააოხრებთ საქართველოს, უკან გაბრუნდით! კვლავ გაიმეორეს პატარა ბავშვებმა.—მორს აქედან, დაიღრიალა ჭალარამ და ბრძანა: ამხანაგო წითელარმიელებო, წინ უშიშრად!—ძიავ!.. ძლივს წარმოსთქვეს პატარებმა: კომუნისტებმა მწარე მათრახები გადაკრეს ცხენებს და გავარდნით გასწიეს ქალაქისაკენ. გადათელეს ბავშვები. გაისმა საზარელი კივილი, გახეთქილ თავებიდან ამოვარდა ტვინი და დაჭეჭვილ ხორციდან ამომსკადარმა სისხლმა წითლად შეღება უმანკოთა გვამები...

ბ. ფირცხალავა.

2 6 მ ა ი ს ი

დღეს არის ჩვენი საყვარელის, სანატრელის, ედემის მსგავსის, ტურფა-მშვენიერის, კონტა-კოპწია ჩვენი სამშობლოს დმოუკიდებლობის დღე.

დღე საქართველოს დიდების:—26 მაისი!

1918 წელს 26 მაისს, ქართველმა ხალხმა გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა. ამით მან სთქვა ის, რასაც ამბობდა და წმინდა სისხლით ბეჭდავდა საქართველოს სახელოვანი წარსული.

26 მაისი ეს ის დიადი დღეა, რომელიც აცოცხლებს და ანეტარებს საქართველოს მომავალს.

26 მაისით ქართველმა ხალხმა იცნო თავისი თავი და სხვასაც მისცა საშვალება, იცნოს და დააფასოს ის.

26 მაისი რომ უკვდავია, ამას მოწმობს საქართველოს ისტორია. ამას საქვეყნოთ ადასტურებს ქართველი ხალხის ბრძოლა ათეული საუკუნის მანძილზე. ისტორიამ არ იციხის ისეთი ერთი, რომელსაც ერთ დღეს გაეჭედოს თავისი ბედი; ყველა სასიცოცხლო ერები თავიანთი ქვეყნის ბედს საუკუნოებით სჭედდენ. ბევრმა, როგორც ყველამ ვიცით, გამოსუქდა კიდევ. ერთი, რომელიც გულს გაიტეხს, მოთმინებას დაკარგავს. ბრძოლაზე ხელს აიღებს, ის ერთი არ

არის. ზოგიერთი, ესლა ცნობილი სახელმწიფო, არც კი არსებობდა, როდესაც საქართველო ყვოდა, და ქართველი ხალხი სტკებობდა თავისი ქვეყნის ბედნიერებით. მისი დიდებული პოეტები უგალობდნენ მას. ვისაც ასეთი დიდებული წარსული აქვს და უთვალავი გასაჭირი გამოუვლია თავისი ქვეყნის სიყვარულსათვის, ასეთი ერთი დასძოვებს ყოველსავე დაბრკოლებას და თავის ამღზრდელ ქვეყანას კვლავ დაეპატრონება.

განა ეს მშვენიერი ქვეყანა საფრანგეთი, რომელსაც ჩვენც შევაფარეთ თავი, და რომელსაც ყველანი მეორე სამშობლოს ეძახიან—განა მუდამ ასეთი მოწყობილი იყო? ეს თანდათანობით შექმნეს, ცეცხლით, სისხლით, სიკვდილ სიცოცხლით სჭედეს და გამოსუქდეს კიდევ.

ამბობენ, ვისაც საფრანგეთის რევოლიუციის დროს არ უცხოვრია და არ უნახავს თავისუფლების მოტრფიალე, მისი სიყვარულით დამთვრალი. საფრანგეთის ხალხი, მას არ შეუძლია სთქვას, რომ უცხოვრია და რაიმე უნახავსო. ჩვენც თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ:

ვისაც თავისუფალი 26 მაისი არ უნახავს მის დედაქალაქ თბილისში, ის ვერ იტყვის—რაიმე სამხიარულო მინახავსო.

ამ დიდებული დღის აღწერა, ან მისი სიტყვიერათ გადმოცემა მე არ ძალმიძს. ასეთი სიცოცხლით სავსე მხიარულ თაიგულს ერთი ქმნის, მხოლოდ საუკუნოებით, და ბედნიერია ის თაობა, რომელსაც მოუწევს მისი ხილვა, მისი სიმშვენიერით დატკობა.

ეს წილად ხედა დღევანდელ თაობას, რომლის ვალია, როგორც მიიღო, ისე გადასცეს მომავალს. მართალია, დღეს საქართველო მუშათა კლასის სახელით მუშათა მტერმა მოსკოვმა დაატყვევა, მაგრამ მოსკოვი ქართველი ხალხის, მისი მისწრაფებების, მისი სულის, გულის, მისი დიდებს 26 მაისის დატყვევებას ვერ მოესწრება.

წინათაც ყოფილა საქართველოში ტანჯვის დღეები, რომელიც ქართველ ხალხს მუდამ ბრძოლით შეუტყლია. დღევანდელ თაობას ქართველებისას არ გამოუგონია საქართველოს ინტერესების დაცვა. მისთვის ბრძოლა, ამ წმინდა საქმეს სახელოვანათ ემსახურებოდნენ ჩვენი წინაპრები. ამის მოწმეა სისხლით მორწყული საქართველოს მთა და ბარი, იავარდით მოქარგული მინდორ-ველი. ამას ადასტურებს ოქროს ასოებით დაწერილი საქართველოს სასიქადულო ისტორია. ქართველი ხალხი, არა თუ იგონებს თავის წარსულს, არამედ ბრძოლით აღბეჭდავს თავის კავშირს გმირულ წარსულთან, რომლის მოგონებანი გვინათებენ მომავალს და აკაქებენ ჩვენი ქვეყნის მებრძოლ შვილებს. მართალია დღევანდელი მდგომარეობა საქართველოსი უფრო სხვაა, ვინემ წინეთ იყო, მაგრამ მისწრაფება, თავდადება, სიყვარული თავის ქვეყნის თავისუფლების იგივეა დღესაც.

პ. ინ.

«დამოუკიდებელი საქართველოს» რედაქცია თავის ღრმა თანაგრძობას უცხადებს დიდად პატივცემულ ვანდა და ვახტანგ ლამბაშიძეებს ტრალიკულად დაღუპულ შვილის გივის გარდაცვალების გამო.

ყ ვ ა ვ ი ლ თ ა ო გ ა ს

«სიკვდილამდის ვის მიუვლავს თავი კახსა მეცნიერსა? რა მისტირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა».
რუსთაველი.

დიდის მწუხარებით მიაცილა ქართველმა საზოგადოებამ მის უკანასკნელ ბინამდე და უცხო მიწას მიაბარა გუშინ კიდე სიცოცხლით სავსე ახალგაზდა გივი ლამბაშიძის გვამი.

ბუნებისაგან უხვად დაჯილდოვებულს ყოველივე იმ სიკეთით და ღირსებით, რომელიც სიყმაწვილის სამკაულს შეადგენს—, ჯანით, ნიჭით, კეთილის ხასიათით და პატიოსანისა და წრფელის გულით—, იმედებით სავსე სიცოცხლე წინ ეშლებოდა, მაგრამ არ ისურვა და თავისის ხელით შესწყვიტა მისი დენა და მოისწრაფა უკანასკნელი წუთი.

იმდენად უსაზღვრო მწუხარება მიაყენა მისმა უდროო სიკვდილმა მის მშობლებს, იმდენად დაუმსახურებელი, რომ სიტყვას ვერ ვპოულობთ მათდა სანუგეშოს, და თუ ნუგეშად გამოდგება, შეგვიძლიან მხოლოდ უთხრათ, რომ ყველანი, ვინც აქა ვართ, უღრმესი თანამოზიარენი ვართ მათის მწუხარებისა.

მისთვის კი, ვინც ასე უდროოდ გამოგვესალმა, სხვა არა დაგვრჩენია სათქმელად, გარდა

«საუკუნო იყავნ სხენება და კურთხევა მისი»

ხოლო გივი ლამბაშიძე პირველი არ არის, რომელიც ამრიგად ასწორებს ცხოვრებასთან ანგარიშს. სულ ათი წელიწადი არ არის, რაც უწყალო ბედმა მოგვწყვიტა მშობელ მხარეს, და უკვე ეს მეხუთე თუ მეექვსე ყმაწვილია, რომელიც დგამს იმ უკანასკნელ ნაბიჯს, რომლის უკან გადმოდგმა შეუძლებელია. ეს საშინელი მოვლენა ვალსა გვდებს, მოგმართო შენ, ქართველო ყმაწვილო. ქართველო ახალგაზდობავ, იმ სიტყვით, რომელსაც, გამოცდილების სიბრძნე თუ არა, შენდამი ღრმა სიყვარული გვიკარნახებს.

თავის მოკვლა სულის სისუსტეა, სიმხდალე, და სილაჩრეა, თუ დიდი გამბედაობა და ვაჟკაცობა?

რა თქმა უნდა იმ წუთს, როდესაც თავის მკვლელს საუკუნო წყვილიდისაკენ აქვს მიპყრობილი გონების თვალი და საბედისწერო მოძრაობას აწარმოებს, თითქო ერთგვარ გამბედაობას უნდა იჩინდეს, გამბედაობას, თუ გონება ამ დროს სავსებით უპირის და გონება მუშაობს.

ოღონდ მიუდევით თავისმკვლელის საქციელს სხვა მხრით, სხვა თვალსაზრისით შეხედეთ მის ვითომდა გაბედულ ნაბიჯს, და ადვილად დაინახავთ,

რომ თუ სულის სისუსტე არა, ეს არის უსაზღვრო ეგოიზმი, უყურადღებო მოქცევა ყველა იმ მაღალ გრძობებისათვის, რომელიც ჩვენის სულის წმიდათა წმიდას უნდა შეადგენდეს.

შვილმა რომ ხელისგულზე შეიწვას ერბოკვერცხი, დედის ამაგს მაშინაც ვერ გამოვალ, ასე გამოსთქვა ჩვენმა ერმა არა თუ მშობლის ამაგი, არამედ შვილის ვალიც მშობლების მიმართ.

დედ-მამა არ გთხოვენ, ახალგაზდავ, ასეთს მსხვერპლს. პირიქით შენთვის გამოვლილ ათასს დარდსა და გასაჭირს მზად არიან სისხლის უკანასკნელ წვეთამდე შემოგწირონ სიცოცხლე, ოღონდ ფრჩილიც არ აგტკივდეს... სამაგიეროს არას მოითხოვენ.

არას გთხოვენ, მაგრამ განა თხოვნაა საქირო, განა თქვენ თვითონ არ უნდა გქონდეთ თქვენის მოვალეობის შეგნება? მეჩე რისი შეგნება? იმისა, რაც თქვენვე და თქვენსავე სიმშვიდეს და ბედნიერებას შეეხება. დარდი რომ გაწუხებთ, გულს ნაღველი მოგაწვავთ, ვინ დაგიაშობთ გულის ტკივილს, ვინ გაგიქარებთ დარდსა და კაეშანს ისე, როგორც თქვენი მშობელი.

მიენდეთ დედის გულს, ის მუდამ მოძებნის სევდის გამქარებელ და გამამხნეველ სიტყვას...

არის ერთი მაინც თქვენს შორის, წყრომის ალი არ მოპკიდებოდეს მის პატიოსანსა და მღელვარე გულს თქვენის ქვეყნის უბედურების გაგონებაზე? რომელ თქვენგანს არ უფიქრნია თავის ერისათვის თუ თავის დადება არა, მთელის ძალღონის შეწირვა, მისთვის თავდავიწყებული სამსახური?

მკვდარს ცრემლს თუ დაადენს გულმოკლული დედ-მამა, თორემ სიტყვით და რჩევით და ვერც საქმით ვეღარას უშველიან.

მკვდარს აღარაფერ სამსახურის გაწევა აღარ შეუძლია თავის ერისა და თავის ქვეყნისათვის.

ყოველი ამ ცხოვრებიდან წასული უკვე უშველებელი დანაკლებინა ჩვენის პატარა ერისათვის, ხოლო ცოცხლებიდან თავისით თავის გამორიცხვა პირდაპირი დანაშაულია ერის მიმართ.

რა უნდა იყოს, რამაც ძალღონით სავსე ყმაწვილ კაცს თავის მოკვლის სურვილი აღუძრას? სიღარიბე? უკმაყოფილება იმ პირობებში ცხოვრებისა, რომელიც ბედმა ყველას გვარგუნა, მოხუცსა და ყმაწვილს? დაუკმაყოფილებელი რამ გრძობა?

საყვარელო ყმაწვილობავ, საყვარელო შვილებო, შემოგვხედეთ დაღმართს დაქანებულით, ჩაუკვირდით ჩვენის სულის მდგომარეობასაც, შესაძლებელია ნაადრევი იყოს იმედი და ზოგი ვერც კი ველირსოთ სწორედ იმ ბედნიერ დღის მოსწრებას. რომელსაც ერთნაირათ ვნატრულობთ თქვენცა და ჩვენც, მაგრამ მიუხედავად ამისა მითი და მისთვის ვცოცხლობთ.

და თქვენ! მომავალი ხომ თქვენია, მთელი თქვენი იმედები ხომ წინ გიდევთ. რა უყოთ, რომ დღეს გივირთ და დღეს გიწვიმთ, ხვალ სხვა დარი დაღვებათ, სხვა ბრწყინვალე დილა ვაგითენდებათ. საქმე რამ ვერ გეხერხებათ? თქვენი მუშაობის შედეგი ვერ გაკმაყოფილებთ? ცოდნა და გამოცდილება გაკ-



ლიათ?—და განა ყველა ეს დროით არ განიზომება, და თქვენზე მეტი დროა ვისა აქვს,—თქვენ ხომ ყმა-წვილები ხართ.

განა თვალი და ყური კლებას, მკლავი მოდუნებას და გონება დაჩლუნგებას თქვენს ხანში იწყებს? ხვალ ვერ შეივსებთ, რაც ჯერ ვერ შეგიძენიათ და ვერ გაასწორებთ, რაც დღეს დაგიშავდათ?

ახალგაზრდაზე საყვარელი, ჩვენა უძვირფასესია იმედო და ნუგეშო, ჩვენა მაგიერა, არ არის ისეთი ცუდი მდგომარეობა, ისეთი გაჭირვება, რომ გამოსავალი არ ჰქონდეს, გარდა ერთისა—სიკვდილისა.

რა უახრობაა ამიტომ გარდამავალ სევდისა და დარდის მოსაშორებლად გამოუბრუნებელ ნაბიჯის გადადგმა. ან კი რა გიცხოვრნიათ, დიდი ანგარიშები თქვენ გქონდეთ ცხოვრებასთან? თქვენი ცხოვრების დიდი დავთარი სულ ახლად არის გადაშლილი. ჯერ პირველ გვერდზე ხართ. ანგარიშის დახურვის დრო ძლიერ, ძლიერ შორს არის. ან ვინ ხურავს სამუდამოდ ანგარიშს, თუ არ კოტორი, ხოლო ყმა-წვილი და ცხოვრების წინაშე სიკოტორე—ეს ხომ ორი ერთი მეორის უარისმყოფელი მცნებაა.

ნუ, ნუ გვიკლავთ გულს თქვენს შემაცქერალთ, თქვენით რომ გვიდგას სული!

ნუ ახარებთ მტრის გულს!

ჰო—და, რომ იცოდეთ, რა დიდს სიხარულს ანიჭებთ: «გატყდა, დაიშალა ემიგრაცია, ველარ უძლებს უშინარსო ცხოვრებასა»-ო იტყვის.

ნუ გაუმართლებ ასეთ სიტყვებს, ახალგაზრდა, შენი ქვეყნის მტერს, გამაგრდი, მოიპოვე გულის სიმშვიდე და სულის სიმტკიცე და მხნედ დაუხვდი ყოველსავე იქვს და წუთიერ დაძაბუნებას.

მართალია, უცხო მხარეს, უცხო ხალხს შორის მოკლებული ხარ ნათესავ სახეებსა და ხმებს, მშობლიურ მიწა-წყალს, მაგრამ დროებითია შენი ასეთი ყოფა და წამავალი. გამოიყენე თუმცა უცხო, მაგრამ სულისა და გულისათვის ყველაფრად მდიდარ ქვეყანაში ყოფნა. დაეწაფე იმის შექენას, რაც შენს ქვეყანას გამოადგეს და რის მიძღვნას მოელის შენგან შენი გაჭირვებული ერი.

გახსოვდეს, რომ მრავალ შენს მოძმეს, შენსავით ყმაწვილს, შენსავით სამშობლოს მოწყვეტილს, შენსაზე უარესი ბედი ხვდა წილად,—ჩრდილოეთის დაკარგული უდაბნო და ბორკილები.—და ვერ გასტყხა.

მამ, მინედ უკეთეს მომავლისაკენ, საყვარელო ყმაწვილო თანამემამულე, გაისხენ შუბლი, მაღლი მოიგვარე სახეზე, აღივსე იმედით და დაეწაფე ცხოვრებას.

ოღონდ გახსოვდეს, არა უდარდელ დროსგატარებისა და განცხრომისაკენ მოაწოდებს ჩემი შენდამი სიყვარული და იმედი, არამედ იმ სიამოვნებისაკენ, რომელსაც ანიჭებს ადამიანს მაღალი ზრახვანი და კეთილშობილი გრძნობა, რასაც ჩვენს სიყმა-წვილეში იდეალებს ვუწოდებდით.

ივანე ზურაბიშვილი.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ც ი ფ რ ე ბ ი თ

დდა ჩვენი ქვეყნის გზავნილ მეურნეობის მიმდევარსა)

(გაგრძელება)

14.

შემდეგი ალაგი თავის მნიშვნელობით ჩვენში მეხილეობას და საზოგადოთ მებაღეობას უჭირავს. მეურნეობის ამ დარგს სულ უკავია 15.700 დესეტინა (17,1 ათ. ჰექტ.). ამ ფართობზედ 6.700 დესეტინაზედ (7300 ჰექტ.) ნაწილობრივ ვაზიც არის ჩარეული. როგორც წინა წერილებიდან ვიცით, მებაღეობა-მევენახეობას საქართველოს დამუშავებულ ტერიტორიის 4 პროც. უჭირავს. საკუთრივ მებაღეობას გაცილებით უფრო ნაკლები ფართობი აქვს დათმობილი. ვაზების გამოკლებით სულ რაღარც 0,8 პროცენტი თავის თავად ცხადია. რომ მებაღეობის ამნაირი ჩამორჩენა არ შეეფერება არც საქართველოს ჰავას და ნიადაგს და არც მის გეოგრაფიულ მდგომარეობას. სათანადო რომ იყოს დაყენებული ეს დარგი მეურნეობისა. აუარებელ სიმდიდრეს შესქენდა იგი ჩვენს ქვეყანას. გარდა იმისა, რომ ჩვენში ყველაფრის მოყვანა შეიძლება, საქართველოში მოსული ხილი რამდენიმე კვირით უფრო ადრე მწიფდება. ვიდრე ევროპის სხვა ადგილებში და აი ამ ხანის განმავლობაში ევროპის დიდი ნაწილი შეიძლებოდა სამონოპოლიო ბაზრად გადაგვექცია ჩვენებურ მებაღეობისათვის. ამისი მაგალითი უკვე გვაქვს—ჩვენებურ მანდარინების ექსპორტში. საქიროა სწორედ ამნაირი მნიშვნელობა მიეცეს ჩვენს მებაღეობას; მხოლოდ ამისათვის, გარდა რაციონალად დაყენებულ მებაღე-

ობისა საჭიროა სათანადო ტრანსპორტის მოწყობაც.

ჩვენ უკვე გქონდა ნათქვამი, რომ დიდი ხანია ცივ ქვეყნებშიც დაიწყეს იმ სასოფლო მეურნეობის პროდუქტების მოყვანა, რომელიც მხოლოდ თბილ ქვეყნების მცენარეებათ არის ჩათვლილი. იაფი ქვის ნახშირით იქ კაი ხანია «იაფი ყურძენი»-ც გააჩინეს, მაგრამ ვაი იმნაირ ხილის და ყურძნის გემოს! შესახედათ ყველა ეს ისეთის შნოიანის მოყვანილობის და საღის ღირსებას ვაზის, რომ ადამიანს თვალის ზედ შერჩება. მაგრამ ვისაც კი უგებნია ჰოლანდიაში ან, ვსთქვათ, ბელგიაში, იქაური ყურძენი, ატამი თუ სხვა ხილი, არ დაავიწყდება ამ ხილის გარეგან მშვენიერებასთან, მისი შესანიშნავივე უგემურობა და ბუკეტის უქონლობა! მიუხედავად ამისა, ამ «ნაძალადევად» შემოსულ ხილს იტაცებენ დიდ ფასებში, არამც-თუ მხოლოდ ევროპის ბაზარზედ, არამედ ბევრი ამერიკაშიც კი გადის.

ჩვენში ეს დარგი მეურნეობისა ჩამორჩენილი რომ არ იყოს, ბაზარი უკვე მზად არის და ჩვენი ხალხისთვის არავითარ სიმძნოელს არ წარმოადგენდა, სასტიკი კონკურენცია გაუწიოს ხელოვნურად ნაწარმებ მებაღეობას.

აი პატარა ჰოლანდია, საქართველოზედ ამ უფრო პატარა სახელმწიფოს როგორ აქვს დანაწილებული თავისი მიწები:

ქვეყნები	მთელი სივრცე	მოსახლეობა ორთავ სქესის	უვარგისი მიწები	სათიბ- საძოვრები	სახნავი მიწები	ბალები	ტყე	ბოსტ. და ბაღ.
პოლანდია	3.307.862 ჰექტ.	5.825.000	17,06 პრ.	35,1 პრ.	26,4 პრ.	3 პრ.	7,9 პრ.	72.000 ჰექტ.
საქართველო	7 მილ. ჰექტარი	2.660.000	18,72 პრ.	24,8 პრ.	20,3 პრ.	0,8 პრ.	42 პრ.	19.000 ჰექტ.

პოლანდიაში, რასაკვირველია, ვენახები არ არსებობს. ჩვენში ბალ-ვენახებს საერთოდ 4 პროცენტი უკავიათ ყველა დამუშავებულ მიწებისა და ბალებს ამ რიცხვში 0,8 პრ. აქვს დათმობილი.

ამ ცხრილიდან ვხედავთ, რომ ჩვენზედ უფრო პატარა პოლანდიაში ბალების სივრცე თითქმის ორჯერ უფრო მეტია ვიდრე საქართველოში. სამაგიეროდ საქართველოში ვენახებს უკავიათ 37.400 ჰექტარი. პოლანდიაში ვაზი მხოლოდ სათბილებში მოყავათ.

იმ უმთავრეს პირობათა შორის, რომელთაც საუცხოვოდ შეუწყეს ხელი ამ ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნის მეზობლებს, პოლანდიის აგრიკულტურის ინსპექტორს ბ-ნ ლიოპნისს ჩამოთვლილი აქვს შემდეგი: 1) ნიადაგის და ჰაერის განსაკუთრებითი ხელშეწყობი პირობები;

- 2) მოსავლის გასატანად ახლად შემოდებული და გაუმჯობესებული სატრანსპორტო საშუალებანი;
- 3) მეზობლების პრაქტიკული ორგანიზაციები;
- 4) აუქციონის წესით გაყიდვა ნაწარმოების;
- 5) ტექნიკური ცოდნის ფართოდ გავრცელება და
- 6) უცხოეთიდან დიდი მოთხოვნები.

1904 წლის სტატისტიკით, რაიც ესლა დაძველებულად უნდა ჩაითვალოს, მეზობლების ყველა დარგს ეკავა 72.231 ჰექტარი, ე. ი. 3 პროც. მეტი მთელი კულტურული მიწების. ამ დარგში შედიოდა: მეზოსტენობა, ჯირკვლიან მცენარეთა მოყვანა, ნამყენების გაჩენა, მყვავილობა, ხილის კულტურა, სათესლე კულტურა. მთელი ეს სივრცე ასე ყოფილა დაყოფილი: მეურნეობათა შინაგარე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად—30.189 ჰექტარი; ბოსტნეულობანი (კომერციულის მნიშვნელობით)—15.976 ჰექტარი; სათესლე კულტურისათვის—867 ჰექტ.; ხილის მოყვანა კომერციულის მნიშვნელობით—19.914 ჰექტარი; ნამყენებისათვის—2.075 ჰექტ.; ყვავილების კულტურ.—379 ჰექტ.; ჯირკვლიან მცენარეთ ეკავათ—3.264 ჰექტარი. როგორც ნათქვამი გექონდა ამ კულტურის დიდი ნაწილი ხელოვნურად მოწყობილ შენობებში მოყავდათ: გასათობ მუშაბანდებში და ან მუშითვე გადახურულ ადგილებზედ.

1904 წელს საერთო სივრცე მეზობლებისთვის ნაშენ მუშაბანდებისა იყო 1.780.000 ოთხკუთხი მეტრი. კერძოდ—ატმებს ეკავათ 16.000 ოთხ. კუთ. მეტრი; ვაზებს—260.000 ოთხ. კ. მეტრი; ყვავილებს 186.000; ნამყენებს—14.000; მთელი სივრცე იმ ამბრების, თუ ფარდულების, სადაც ჯირკვლები ინახება—532.000 ოთხ. კ. მეტრი.

1908 წელს მთელი მეზობლების მოსავლის ღირებულობა უდრიდა 24.355.000 ფლორინს (ფლორინი დაახლოებით, ერთი ოქროს მანეთია). აქედან ხილი (ვაშლი, მსხალი, კაკალი, ყურძენი, ბალი, მარწყვი, ქლიავი და სხვა) 2.742.500 ფლორინი. ბოსტნეულობა

(კომბოსტო, ხახვი, კიტრი, საწნილე კიტრი, წვანილეულობა (კონსერვებით თუ გამხმარით) და სხვა 7.025.000 ფლორ. ნამყენები, ყვავილების თესლი, ჯირკვლებიანი მცენარეები, ყვავილები — 14.587.000 ფლორინი.—სულ 24.355.000 ფლორინი.

აქამდინ არაა კარგად ნაანგარიშევი, რას წარმოადგენს ჩვენებურ მეხილეობის პროდუქციის საერთო ღირებულობა. ომამდე, მეტად თუ ცოტად სარწმუნოთ გამოკვლეულია მხოლოდ ის, რაც რკინის გზით ყოფილა გადაზიდული. რამდენი დარჩა თვით ადგილობრივ, ან რა იყო განხილული ურმებით თუ ფურგნებით—ამისი ცნობა არ არის.

1909-1913 წლებში საშუალოდ ყოფილა გატანილი სახლვარ გარეთ, წლიურად, 10.000 ტონი, ან, დაახლოებით, 600.000 ფუტამდე. ამას გარდა კიდევ ყოფილა გატანილი 10 მილიონი ცალი მანდარინი.

რკინის გზებით გადაზიდულა სულ 1.200.000 ფუთი, ანუ 20.000 ტონამდე.

რაც სახლვარგარეთ იყო გატანილი, მისი ღირებულობა, სულ ცოტა, 1.300.000 მანეთს უდრიდა.

იმ მოხსენიერება, რომელიც ბ. ხარ. ლლორეს გაუქმებია ამას წინად ტფილისში, სჩანს, რომ ამ უამად ბალებს უჭირავს 13.000 დესეტინა, რომლის გაფართოება შეიძლება 5-ჯერ; რაც მოგვცემს 60-70 მილიონ მანეთს»-ო.

თუმცა არ ვიცით რაზედაა დამყარებული ეს ანგარიში, მაგრამ იგი შორს არ უნდა იყოს სიმართლენეც.

თუ 5-ჯერ მეტ სივრცეზედ 60 მილიონია ნაანგარიშევი, ეტყობა დღევანდელი პროდუქციის ღირებულობა 12 მილიონ მანეთამდეა. ოქროს მანეთებით ეს არ უნდა იყოს იმაზედ მეტი. რასაც ჩვენი ქვეყანა ომის წინ იღებდა მხოლოდ იმ საქონელში, რაც სახლვარ გარეთ გადიოდა (1.300.000 მანეთი). ეტყობა მეხილეობაც საგრძნობადაა ამ უამად დაცემული საქართველოში.

თავის დროზედ მეხილეობა დიდს სიმდიდრეს შესძენს საქართველოს; ამისათვის საჭირო იქმნება გაუმჯობესებული ტექნიკის შეტანა მეზობლებში; როგორც უკვე მოვიხსენიეთ, ხილის ნაადრევი ჯიშების გამრავლება საუცხოვო საექსპორტო საქონელს შესძენს ჩვენ ქვეყანას. ამასთანავე დიდად სახირო იქმნება კონსერვების და დაშარული ხილის დამზადება. ამ გვარად შეჩავებული პროდუქტი უფრო იტანს შორს გზას და ამასთანავე საგრძნობლად მცირდება ეგრედ წოდებული «ბრაკი».

კანადა, პოლანდია, საფრანგეთი, შვეიცარია და სხვა ქვეყნები სწორედ ამ გზას დაადგენ და მათი წაბაძვა ჩვენთვისაც სახირო და სასარგებლო იქმნება.

მას შემდეგ რაც ქალაქების კოლოსალური ზრდა იწყება, მეზოსტენობასაც მეტი და მეტი მნიშვნელო-



ბა ეძლევა ყველგან, არამც თუ მართო სოფლებში. — დიდი ქალაქების გარშემო მდებარე ათას ჰექტარობით მიწებიც ბოსტნებათ არის გადაქცეული. ბოსტნეულობის კულტურის ზრდა ხდება, როგორც დიდს სახელმწიფოებში, ისე და უფრო მეტადაც. პატარაებში, როგორც მაგ. დანიაში, ჰოლანდიაში, ბელგიაში და შვეიცარიაში და სხვ. საფრანგეთიდან, სკანდინავიის ქვეყნებიდან, კუნძულ ჯერსეიდან — ყოველ დღე იტვირთება იმისათვის მოწყობილი გემები და დიდალი მწვანელობა და საზოგადოებო ბოსტნეული იგზავნება ლონდონში. ამნაირად ლონდონი ყოველ დღე ლებულობს პარიზიდან გაგზავნილ წვანილს!

მეცნიერულმა აგრონომიამ და გაუმჯობესებულმა ტექნიკამ აქაც იჩინა თავი, როგორც მოსავლის ზრდის მხრივ, ისე საუკეთესო ნაყოფის მიღებით.

ჩვენი ქვეყანა თავისი ბუნებრივი თვისებებით და გეოგრაფიული მდებარეობით საუცხოვოდ არის მოწყობილი, რომ ამ დარგმა ფესვი მოიკიდოს ჩვენშიც და აკი ყოველ წლივ. მეტადრე შავი ზღვის ნაპირებზედ, იზრდებოდა ის ფართობი, სადაც ბოსტნები იყო გაშენებული.

რამდენ ჩვენში ბოსტნებს ეკავათ 8.000 დესეტინამდე მიწა. არც აქ ვიცით, რა ღირებულობას შეადგენდა მებოსტნეობის პროდუქცია. წინანდელ ოფიციალურ ცნობებით ვიცით მხოლოდ, რომ რკინის გზით ყოველ წლივ იზიდებოდა 1.080.000 ფუთი (18 000 ტონა) ბოსტნეული და აქედან საზღვარ გარეთ 500.000 ფუთი გადიოდა, ნახევარ მილიონ მანეთის.

ჩვენის აზრით აქ ნაჩვენები ექსპორტის რაოდენობა ნამდვილზედ ნაკლები უნდა იყოს. მოყვანილი ცნობები ეკუთვნის მხოლოდ ანტრბეიჯანში, სომხეთში და რუსეთში გატანილს (დ. აფხაზი). რა გადიოდა ზღვით — ამის ცნობა არ არის და ვისაც უცხოვრია მაგ. ბათუმში, მან კარგად იცის, რა დიდი სარგებლობა ქონდა ბათუმის რაიონის მებოსტნეობას და რა დიდალი წვანილეობა გადიოდა ბათუმიდან საზღვარ გარეთ მიმავალ გემებით.

ომის წინ ბოლო ხანებში დიდს ყურადღებას იპყრობდა ჩვენში ქართოფილის კულტურის ზრდა. თუ წინად ამ მცენარეს მხოლოდ ბალჩებში ქონდა დათმობილი ერთობ მცირე ფართე, შემდეგ იგი მინდვრეშიც გაჩნდა, ასე რომ მას 6.547 დესეტინა ქონდა დათმობილი და წლიური მოსავალიც 2.650.000 ფუთს უდრიდა. თავისთავად ცხადია, რომ როგორც ნაჩვენები ნათესის სივრცე, ისე თვით მოსავალიც არ იყო დამაკმაყოფილებელი.

თუ ჩვენებურ მოსავალს შევადარებთ, მაგ. გერმანიას. დავინახავთ ჩვენს დიდს ჩამორჩენას. უეჭველია თავის დროზედ, როდესაც სახელმწიფოსა, თვითმართველობათა და მეურნეთა მხრივ შემოღებული იქმნება ახალი წესი აგრიკულტურის, ყოველი ნაკლი ამ დარგშიც გამოსწორდება. ამას დიდი მნიშვნელობა ექმნება ჩვენი ხალხის ეკონომიურად მოდონიერებაში; თანამედროვე ტექნიკა სასოფლო მეურნეობისა დიდს ალავს უთმობს, როგორც ქართოფილს, ისე საზოგადოებო სხვა ფესვ-ნაყოფ მცენარეებს, რაციონალ თესლ ბრუნვის შემოღებაში.

ჩვენ აქ საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გაუსვათ საყოველთაოდ შემჩნეულს ევოლუციას, რომელიც ყველგან ერთისა და იგივე მიზნებით არის ხოლმე გამოწვეული. ცნობილი ფაქტია, რომ იმისდა მიხედვით, რაც მიწების სივიწროვე ჩნდება, სოფლის მეურნე თანდათან ამცირებს იმ ფართეს, სადაც პურსა სთესავს და თანდათანობითვე გადადის სიმინდის ფართეთ თესვაზედ; სიმინდი უფრო დიდ მოსავალსაც იძლევა და მისი მეურნეობაში გამოყენებაც უფრო მრავალგვარია. შემდეგს ხანაში, როდესაც მიწების ნაკლებობა უფრო კიდევ მეტად იჩენს თავს, სიმინდის ადგილს (ან მასთან ერთად), ქართოფილი იკავებს, რადგან იგი კიდევ უფრო მეტ გამოსავალს იძლევა, არამც თუ მართო როგორც ადამიანის საკვები, არამედ როგორც საინდუსტრიო და მუშა საქონლის გამოსაკვები მცენარე. ასე ხდებოდა ყველგან, მიუხედავად იმისა, რომ სიმინდის და ქართოფილის ნოყიერება, როგორც ადამიანის საკვების გაცილებით უფრო მცირეა ვიდრე ხორბლის პურისა.

ჩვენი ხალხიც უეჭველია ამ საერთო ეკონომიურ ტენდენციას ემორჩილება და ნორმალურს პირობებში. თანდათან აფართოვდება ქართოფილის კულტურას. შესანიშნავად ის არის, რომ ასეთ გაფართოვებას ყოველთვის პურის მოსავლის ზრდა მოსდევს და თანაც ახალი სამეურნეო დარგის გაჩენაც, როგორც სპირტის გამოხდა, საქონლის რაციონალად გამოკვება და სხვა.

ქართოფილის კულტურა თუმცა ვრცელდებოდა კიდევ ჩვენში, სამაგიეროდ მისი მოსავლიანობა ერთობ მცირეა. მაშინ როდესაც ჩვენში დესეტინაზედ 407 ფუთი მოყავთ, ბელგიაში, მაგალ., თითო ჰექტარზედ 1.098 ფუთი მოდიოდა! ჩვენი ასეთი ჩამორჩენა იმიტაც აიხსნება, რომ ქართოფილის თესვის შემოღება ჩვენში, შედარებით ახალი ამბავია, თანაც ქართველი სოფლის მეურნე სრულობით მოკლებულია საჭირო ხელმძღვანელობას, იგი იძულებულია თვით გაიკვლიოს გზა ამ ახალს დარგში, უმეტეს შემთხვევაში თავისი საკუთარის ინსტიქტით და იმ ხერხის და იმპერიულ ცოდნის შემწეობით, რომელიც მამაპაპათაგან აქვს გადმოცემული. ეს გზა კი ყოველთვის არ არის სწორი და თანაც ერთობ გრძელია!

ქართოფილის კულტურის მინდვრებში გატანას, როგორც ვსთქვით, სხვა ფესვებ-ნაყოფ მცენარეთა შემოღებაც მოჰყვება: მაგ. ჭარხლის კულტურა, რაიც ბუნებრივად, შაქრის ქარხნების მოწყობასაც გამოიწვევს. გორის მაზრაში მოხდენილი იყო სათანადო ცდები, ჭარხალი საუცხოვოდ ღირსებისა მოვიდა, გაცილებით უფრო შაქრიანი ვიდრე ბევრ შაქრის ქარხნების რაიონებისა.

როგორც ქართოფილის შესახებ, ეკონომიური ლიტერატურა აქაც აღნიშნავს, რომ იქ სადაც მიწის სივიწროვეა და თანაც მოსახლეობის გადამეტებულათ ზრდა, ჭარხლის კულტურა იქაც თვალსაჩინოდ ადგილს იკავებს.

დასავლეთ ევროპის აგრიკულტურამ დიდი ნაბიჯები გადასდგა ქართოფილის მოყვანაში; ყველა ეს საოცარი მიღწევანი მიღებული იყო მეცნიერების და ახალი სააგრიკულტურო მეთოდების ზედ გავლენით.

მოვიყვანო ამ საკითხის შესახებ რამდენიმე ევროპელი სპეციალისტის შეხედულობას.

პროფ. ზოლა ასე აღნიშნავს ამ მცენარის კულტურის ზრდას საფრანგეთში (L'agr. Moderne გვ 123):

«ქართოფილის კულტურას დიდი ზრდა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში დაეტყო. შემდეგ წლებში—1852—1862-მდე მოსავალმა უკვე ორჯერ იმატა. ამ ზრდამ 1870 წლიდან დაწყებული თითქმის იკლო. 1882 წლის ანკეტის შემდეგ გამოიჩინა, რომ ქართოფილის მოყვანა 1.300.000 ჰექტარზედ ხდებოდა, მოსავლის მთელი რაოდენობა 100 მილიონ კვინტალს უდრიდა და თითო ჰექტარზედ მოდიოდა არა უმეტეს 7.500 კილოგრამისა. ექვს გარეშეა, რომ ეს, ვითომდა, საშუალო მოსავალი სრულს სინამდვილეს არ გვიჩვენებდა და არც უნდა ვიფიქროთ, რომ საფრანგეთის სხვადასხვა რაიონებში თითო-ჰექტარზედ 75 კვინტალის მეტი არ ყოფილიყოს მოსავალი. ოციოდე დეპარტამენტში ეს მოსავალი 100 კვინტალზედ ნაკლები იყო, ზოგი სოფლის მეურნე კი ამაზედაც მეტს ღებულობდა. რასაკვირველია არც ის იყო ტყუილი, რომ იმ დროს ბელგიაში საშუალო მოსავალი თითო ჰექტარზედ 12.000 კილოგრ. უდრიდა, ინგლისში დაახლოვებით 15.000 კილოგრ. იყო, მაშინ როდესაც გერმანიაში 20.000 კილოგრ. აღემატებოდა, ე. ი. 200 კვინტალს თითო ჰექტარზედ (1220 ფუთი).

შეეძლო თუ არა საფრანგეთსაც მიეღო ამოდენა მოსავალი? ბნ ემე ყირარდმა თვისი კლასიური ცდებით გამოიკვლია ეს კითხვა და ბრწყინვალე პასუხიც გასცა მას. მან დაამტკიცა, რომ სრულებით ადვილი და შესაძლებელი იყო დღესვე მოეყვანათ თითო ჰექტარზედ 30.000—40.000 კილოგრამამდე ქართოფილი. ეს ვეებერთელა მოსავალი საცდელ მინდვრებზედ კი არ ყოფილა მიღებული, ან ბაღებში და ისიც მხოლოდ რამდენიმე მეტრ მიწაზედ. ეს შესანიშნავი ციფრები დიდ მანძილებს გულისხმობენ; ამოდენა მოსავალი კერძო სოფლის მეურნეებმა მიიღეს საფრანგეთის სხვადასხვა რაიონებში. მერე ზო ხერხი და საშუალებანი იხმარა ბნ-მა ყირარდმა, რომ ეს შედეგები მიეღო? ჩვენ დავინახეთ რომ ეს ხერხი გამოიხატებოდა ჯიშის კარგად შერჩევაში, ე. ი. ნივთიერებათა ვარდაქმნის (ტრანსფორმაციის) იმ აგენტის გაუმჯობესებაში, რომელსაც მცენარე ეწოდება. მაგრამ შეცდომა იქმნება ვიფიქროთ, რომ მთელი ყურადღება მხოლოდ მცენარის შერჩევაზედ იყო მიპყრობილი და სხვა კულტურული ღონისძიებები-კი, როგორც მიწის სათანადო დამუშავება და გაუმჯობესება, უყურადღებოთ ყოფილიყოს მიტოვებული. პირიქით ყველა ეს დანაშთენი ღონისძიებანიც დიდი მზრუნველობით უნდა იყოს მოგვარებული, და ყირარდის დიდს დამსახურებას სწორედ ის უდადგენს, რომ მან დიდის ხერხით და მეცნიერულის დაკვირვებით შეისწავლა ყველა დანაშთენი პირობებიც და სწორედ ეს მატებს ღირსებას მთელ მის მუშაობას. უნდა გვახსოვდეს, დასძენს პროფ. ზოლა, რომ ყველა მისგან ნაჩვენებ მეთოდების პრაქტიკული განხორციელება, დიდს გულის ყურთან ერ-

თად, ითხოვს—სათანადო ცოდნას და მასთან ხარჯდება. ეს გარემოება საკმაოდ ნათელ ყოფს, რატომ ხდება საზოგადოთ ნელის ნაბიჯით სვლა სასოფლო მეურნეობის პროგრესის და გვიჩვენებს, რა მჭიდრო დამოკიდებულება აქვს კულტურულ ღონისძიებათა განხორციელებას ხალხში დოვლანთის დაგროვებასთან: სოფლის მეურნის მიერ ხარჯების გაწევა—სასუქების შეტანა იქნება ეს, თუ სხვა რამ მუშაობა, ყველა ეს საგრძობლად ზრდის მის საექსპლოატაციო კაპიტალს. ერთის სიტყვით ყველგან ერთსა და იმავე ფაქტს ვეფეთებთ:—იქნება ეს მცენარეთა ჯიშის გაუმჯობესობის წადილი, თუ დასამუშავებელ ნიადაგის სათანადო დამზადება—ყველგან ეკონომიური პრობლემა განუყრელია ტექნიკურ მიღწევებისგან. თუ გვინდა რომ უკანასკნელმა მოგვეცეს მოსალოდნელი შედეგები, აუცილებელია პირველი პრობლემის (ეკონომიურის) წინასწარი მოგვარება.»

ბოლოს მოვიყვანო ცნობას, როგორ ხდებოდა ქართოფილის მოსავლის ზრდა ზოგიერთ ქვეყნებში (თითო ჰექტარზედ):

1880 წლებში	1907 წელს
პოლანდია 112 ჰექტოლიტრი	210 ჰექტოლიტრი.
საფრანგეთი 460 ფუთი	532 ფუთი.
გერმანია 135 კვინ. (823 ფუთი)	300 კვინტ. (1830 ფ.).

ის დიდი მიღწევანი, რომელიც ევროპაშია მიღებული, სადაც ქართოფილის მოსავალი გასაოცრად იზრდება, თანამედროვე აგრიკულტურის მეთოდების შემწეობით, დიდს ყურადღებას უნდა იწვევდეს ჩვენებურ მეურნეებისას. ქართოფილი უთუოდ უნდა შევიდეს გაუმჯობესებულ თესვლა ბრუნვამი, რის შედეგი მოსავლის მომატება იქნება, არა მხოლოდ ქართოფილის, არამედ პურეულ მცენარეებისაც. ამ კულტურას გაცილებით მეტი სახნავი მიწები უნდა ქონდეს დათმობილი, ვიდრე ეს დღეს ხდება ჩვენში.

ქართოფილი უნდა ფართე მამტაბით გავიდეს კულტურულ მიწებში. მას უნდა დაეთმოს ათი ათასობით ჰექტარი სახნავი მიწები და არ გავა დიდი დრო, როდესაც 407 ფუთ ქართოფილის მაგიერ ჩვენი სოფლის მეურნე თითო ჰექტარზედ მიიღებს 600-800 ფუთს და შეიძლება მეტსაც.

ეს არ უნდა გვეჩვენოს გადამეტებულათ, რადგან დღეს დასავლეთ ევროპაში ქართოფილის მოსავალი თითო ჰექტარზედ 2.000 ფუთზეა უკვე ასული!

(გაგრძელება იქნება)

—ლი—გ.

სიმაკთლის აღდგენისათვის

ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო მხოლოდ ესლა ჩამივარდა ხელში «თეთრი გიორგი»-ს და «სამშობლოს» ის ნომრები. რომლებშიდაც ჩემს შესახებ ცნობებია მოთავსებული. ეს ცნობები სიმართლეს მოკლებულია. პირველში ვლ. ემუხვარი და მეორეში «ქუ-ლი» კაცის მოკვლას მამბრალეებენ.—ერთი ეტლში შეკარდნით, მეორე «ადმინისტრაციული წესით». პასუხის გაცემას არ ვფიქრობდი: ეს შემთ-



ხევა იმდენათ მტკივნეულია, იმდენად მძიმია მის მიერ ჩემში დატოვებული ჭრილობა, რომ ძლიერ მეძინელება მაზე ლაპარაკი, და თუ მაინც გადავწყვიტე პასუხის გაცემა ეს მხოლოდ სიმართლის აღსადგენათ, მით უმეტეს, რომ როგორც თვით ზემოთ დასახელებული ცნობებიც მოწმობენ, ბევრმა საქმის ნამდვილი ვითარება სრულებით არ იცის და უფრო გავიწილს, ყურმოკრულს სარგებლობს.

საქმის ნამდვილი ვითარება ასეთია. 1917 წ. მიწურულში, როდესაც რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალება მოხდა, სოხუმში მყოფმა გარნიზონმა ქალაქი დასტოვა და თან წაიღო იარაღი, რის წაღებაც კი შეიძლებოდა. მთელი ოლქი, განსაკუთრებით კი ქალაქი, საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა: რომ შედამდებოდა, კაცი შიშით გარეთ ვერ გამოდიოდა; ოლქი აივსო ფრანტიდან დაბრუნებულ გაბალშევიკებულ ჯარისკაცებითა და ყაჩაღებით. აი ამ დროს... ჩხიკვიშვილისა და ჩემი ინიციატივით შესდგა დამცველი რაზმი ყველა პარტიების წარმომადგენლებსაგან. რაზმმა თავის ხელომდღვანელად მე ამირჩია ერთხმად. რაზმმა თავის თავადღებულთ, უსასყიდლო მუშაობით შესძლო სიმშვიდის ჩამოგდება. ამ მუშაობის პროცესში შემემთხვა ის უბედურება. რომელმაც წაუშლელი ტანჯვის დაღი დასტოვა ჩემში. ჩვენს ყურადღებას იპყრობდა იმ დროს განაპირა ქუჩები. აქ თავს იყრიდნენ საეჭვო და მანვე ელემენტები. აქ, რესტორანებში და სასტუმროებში, აკრძალული იყო ზედმეტი ღვინის სმა,—ქეიფი არღანზე. ყოველ დღე რაიმე ახალ უბედურებას ველოდი და ძალიან ფრთხილად ვიყავი. ქალაქს საკანტროლოთ ყოველ დღე რამდენჯერმე ჩამოუვლიდით: ერთ-ერთ ასეთ ჩამორების დროს ერთ ყველაზე უფრო ცუდი ყოფაქცევისა და საეჭვო სახლიდგან არღანის სმა და სმაური მოგვესმა. იმ წამსვე შევედით სახლში და გავაფრთხილე იქ მყოფნი და მოვთხოვე დაუყენებლივ დაეკეტათ რესტორანი და დაშლილიყვენ (იქნებოდა ცხრა-ათი საათი). დამპირდნენ. ჩვენ წავიდით. კარგა ხნის შემდეგ იმავე ზნით დალილ-დაქანცულები უკან ვბრუნდებოდით. იმავე სახლიდან იმავე არღანის სმა მოგვესმა. ძლიერ აღელვებული შევედით შიგ. ხელში პატარა ბრაუნინგი მეჭირა, რომელიც დაკეტილი მეკუთვებოდა. ოთახში რამდენიმე ახალი პირი შევნიშნე, რომლებიც კედელს ეფარებოდნენ. ვერ მოვასწარი გაფრთხილება რომ გავარდა რევოლვერი და იქვე დაზგასთან, ჩემთან ახლო, მდგომი «მეარღნე» ჩაიკცა. ვიგრძენი, რაც მომივიდა. მივარდი დაჭრილს და იმ წამსვე საავთმყოფოში გავზანე, სადაც ის მეორე დღეს გარდაიცვალა. ჩემზე უფრო დამწუხრებული რაზმელები იყვნენ და მე მამშვიდებდნენ... აქედან მე წავედი ოლქის უფროსთან და ყველაფერი უამბე. ოქმიც შედგა. სასამართლომდი საქმეს არ მიუღწევი, რადგან ის, როგორც სოხუმში, ისე სხვაგან. ვინც ამ საქმეს იცნობდა, ყველასათვის გამოირკვა, როგორც უცაბედი, შემთხვევითი.

ასეთია ამ უბედურ შემთხვევის სინამდვილე და ჩემი აღსარებაც,—თუ გნებავთ.

მ. წულუკიძე.

ბერლინი.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მ ბ ე ბ ი

(გაზეთებიდან)

ტფილისში გარდაიცვალნენ პროფ. სპ. ვირსალაძე, პედაგოგი ისტორ. ანტონ ნატროშვილი, მუსიკოსი ზაქ. ჩხიკვაძე.

—როგორც გადმოგვცემენ, საქ. დემ. მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე გრ. ლორთქიფანიძე და მისი ამხანაგები, რომლებიც 5 წლის ციხეში ჯდომის შემდეგ გადასახლებული იყვენ, ისევ დაუტუსალებიათ ამა წლის იანვრიდან.

—წითელ არმიის პარტიულ კონფერენციაზე ტფილისში ელიავამ განაცხადა: პარტიის მთავარი ხაზის გაზრის გამო კავკასიის სანახევროდ მომთაბარე. ჩამორჩენილ ადგილებში თვით წამოყვეს საბჭოთა მოწინააღმდეგე ელემენტებმა. განსაკუთრებით სერიოზული მდგომარეობა შეიქნა აზერბეიჯანსა და ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში. სადაც ნამდვილი აჯანყება მოხდა საბჭოების წინამდგე. ზოგი რაიონი აქ დღესაც არაა დამშვიდებული.

—«სოც. ვეს.»-ის კორესპონდენტი სწერს: აჯანყება კავკასიაში, ეტყობა, დღესაც გრძელდება, იქ დღესაც სააღყო წესებია. მარტში კი აჯანყებამ ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ მოსკოვიდან დამხმარე ჯარები გაგზავნეს. შუშა და არმაჯირი ორი კვირის განმავლობაში აჯანყებულთ ეკავათ. ბოლშევიკებმა ყველაფერი სისხლში ჩაახრგეს.

ს ა ბ ზ ო ტ ა რ უ ს ე თ შ ი

(ქურონალ-გაზეთებიდან)

სოფნარხონის პრეზიდიუმის ერთ-ერთ პლენარულ სხდომაზე ნათლად გამოირკვა, რომ საბჭოთა ინდუსტრია კატასტროფიულ მდგომარეობაშია. სხვადასხვა რესპუბლიკის წარმომადგენლებმა დახატეს სურათი საერთო განადგურებისა.—ფაბრიკათა უმრავლესობა იმის 50 პროც. კი არ იძლევა, რაც ნავარაუდვენი იყო და მასთან პროდუქტები უვარგისობისა გამო უკანვე უბრუნდება ქარხნებს.—წელი მაისალის უქონლობის გამო ბევრი ქარხანა დაიხურა.

—ატუსალებენ მრავალ ინიჩრებს და სხვა ტექნიკოსებს. მათ საბოტაჟის ბრალს სდებენ, ნამდვილათ კი მანქანებია დამნაშავე, რადგან, უვარგისობისა გამო, მათი ამუშავება შეუძლებელია.

—დაატუსაღეს სახელმწიფო ბანკის ცხრა დიდი მოხელე, მათში გენერალური დირექტორი არმაში და იურისკონსული დოლომიშვი. მათ ბრალი ედებათ, რომ ვერ შეაჩერეს მანეთის პროგრესიული დევალორიზაცია, რაც ახლა ნომინალის მეხუთედიც კი არ ფასობს.

—მუშათა სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც დავალებული ქონდა გამოერკვა—თუ რა შედეგები მოიტანა წლის თავზე ქვეყნის ეკონომიური რეკონსტრუქციის სუთ-წლოვანმა გეგმამ, დაასრულა მუშაობა და თავის მოხსენებაში ამბობს, რომ ინდუსტრია კატასტროფიულ მდგომარეობაშია და თუ ვითარება არ შეიცვალა დაუყოვნებლივ, მიმდინარე წელს ფაბრიკა-ქარხნები აუცილებლათ დაიხურება.

—დიპლომატიური კავშირის აღდგენა ინგლისთან არ უშლის ხელს ბოლშევიკებს სასტიკი ანტი ბრიტანული პროპაგანდა აწარმოვონ რუსეთში. მაგალითად, სამხედრო სამინისტრომ გამოსცა წიგნი სათაურით: აი თუ რა უნდა იცოდეს წითელმა ჯარისკაცმა. წიგნი გადათარგმნილია თორმეტ ენაზე, რომელზედაც ლაპარაკობენ საბჭოთა კავშირში, დაიბეჭდა 880.000 ცალი და უფასოდ ურიგდება ყოველ ჯარისკაცს. წიგნი შეიცავს 400 გვ. აქ ერთი თავი სპეციალურად ინგლისს ენება, რომელიც დასახულია ანტირადიკალური მოძრაობის მეთაურთა და ორგანიზატორთა მთელ ქვეყანაში. ინგლის ბრალს დებენ აგრეთვე სამოქალაქო ომის დროს ბოლშევიკ გლეხების და მუშების წამება-დახვრეტაში, ჩინეთ-რუსეთის კონფლიქტის გამოწვევაში, საბჭოთა ტერიტორიაზე აფეთქებების, მკვლელობების და სხვა უბედურებების მოწყობაში და სხვ. ინგლისის მუშათა მთავრობა დახასიათებულია, როგორც მოალაატე და მუშათა კლასის გამცემი.

მოწოდება ყველა ქართველ ქალებს

უკვე წელიწადზე მეტია, რაც ვარშავაში დაარსებულ იქმნა კლუბი «პრომეთე», რომელიც თანდათანობით შესამჩნევად ვითარდება. თითქმის ყოველ კვირაში ერთხელ მანიც იკითხება საზოგადო მოღვაწეების და კლუბის წევრების მიერ მოხსენებები, რომელთა შინაარსს წარმოადგენს კლუბ «პრომეთეს» მიზნების საკითხები.

აქ არ შევცნობთ შემადგენლობას და მიზნებს სხეულ კლუბისა, ვინაიდან ამის შესახებ უკვე იწერებოდა წინედ. აქ გვსურს აღვნიშნოთ მხოლოდ ახალი სტადია მისი განვითარებისა, რომელიც გამოიხატება ქალთა განყოფილების დაარსებაში.

ეს ქალთა განყოფილება დამყარებულია იმავე საფუძველზე, რომელზედაც ემყარება თვით კლუბი «პრომეთე». კლუბის ამ განყოფილებაში შედიან ქალები წარმომადგენელი იმავე ერებისა, რომელთაგან შესდგება კლუბი «პრომეთე»: თავმჯდომარეა ქალბატონი ზავაცისა (უკრაინა), თავმჯდომარეს მოადგილე ქალბატონი ბაგრატიონისა (საქართველო), მდივანი ქ-ნი კაზუმ-ბეგისა (აზერბეიჯანი), ხაზინდარი ქ-ნი ბუზრუჩკო (უკრაინა), დიასახლისი ქ-ნი ხავეოკო (მთიულეები).

განყოფილების უმთავრესი დანიშნულება არის გამოსვლა საერთაშორისო სარბიელზე, ქალთა ინტერნაციონალურ ორგანიზაციათა სავალდებო. ამ უკამამდე ემიგრანტებმა ვერ შევძელინ სიტყვის უფლების მოპოვება, სხვა ბედნიერ ქალებთან ერთად, რომელთაც გააჩნიათ თავიანთი საკუთარი სახელმწიფო. ყოველ ჩვენ ცდაზე ვლებულობდით მუდამ შეკითხვას: სად არის თქვენი მიწა-წყალი, თქვენი სახელმწიფო, რომლის სახითაც თქვენ შეგვძლებოდათ ხმის ამოდება? განკერძოებულ ეროვნებების ემიგრაციულ ჯგუფების წარმომადგენელთა გამოსვლებს არა ჰქონდა არავითარი გავლენა და ამიტომ გადა-

წყვეტილ იქმნა გაერთიანება ყველა ამ ჯგუფებისა კლუბ «პრომეთე»-სთან მიკედლებით, რათა უფრო მეტის სიმტკიცით ვიბრძოლოთ ხმის უფლების მოსაპოვებლად.

ამ მიზნით ამა წლის 16 იანვარს ქნ ზავაცისამ წაიკითხა კლუბ «პრომეთე»-ში მოხსენება, სახელდობრ «ქალთა როლი სამშობლოს განმათავისუფლებელ ბრძოლაში», სადაც აღიარებდა აქტიურ პოლიტიკურ მუშაობის აუცილებლობას ემიგრანტ ქალების მიერ.

მაგრამ ამ ქალთა განყოფილებას თავის მოღვაწეობაში წარმატების მისაღწევად სჭირდება მხარის დაჭერა და ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა ყოველ სათანადო ეროვნულ ჯგუფების მხრით, რომელნიც გაფანტულია მთელ ქვეყნიერებაზე. გარდა ამისა მოკლებული ვართ რა სათანადო მატერიალურ სავალდებებს აუცილებელ მოგზაურობების მოსაღწევად სხვადასხვა სახელმწიფოებში, ვსოვლით შესაძლებელად ვისარგებლოთ ძალები იმ ემიგრანტ ქალებისა, რომელნიც ამქამად იმყოფებიან იმ ადგილებში, ან მის მახლობლად, სადაც კი, იმართება კონგრესები, და ამრიგად მათთვის უფრო ადვილი ხდება იქ დასწრება. ამისათვის აუცილებელია ყველას გვექნდეს ერთმანეთთან მუდმივი კავშირი მიწერ-მოწერით და საქირო ცნობების მიწოდებით. ამის გამო მიემართავთ ყველა ქართველ ქალებს, სადაც კი იმყოფებიან ისინი, თხოვნით გაგვიწიონ დახმარება ჩვენი ტანჯული სამშობლოების მტრისაგან განთავისუფლების საქმეში, რომლისთვის ჩვენს ძმებს, ძაძმებს თუ ქმრებს გაუღიათ უსომო ღვაწლი.

მოგიწოდებთ შეგვიერთდეთ ჩვენ, თუ კი ჯერ-ჯერობით არა გაქვთ თქვენ შექმნილი საკუთარი ორგანიზაცია, ან დაგვიკავშირდით, თუ კი უკვე გაერთიანებული ხართ რაიმე ჩვენი ჯგუფის მაგვარ ორგანიზაციაში; ამ რიგად გაგვიწიეთ დახმარება—გაზსოვდეს, რომ მხოლოდ გაერთიანებაშია ძალა და რომ მხოლოდ ურთიერთის მეგობრულ დახმარებას შეუძლია მოგვანიჭოს კეთილნაყოფიერი შედეგი.

თუმცა პირველ ხანებში ჩვენ ფრიად გაგვიძნელებდა ბრძოლა ხმის უფლების მოპოებისათვის, მაგრამ ეს არ უნდა გვიტყდეს გულს, უნდა მედგარად გადაღახულ იქმნას ყოველი დაბრკოლება იმის იმედით, რომ სიმართლე საბოლოოდ მუდამ იმარჯვებს.

ველით თქვენ პასუხს და გვწამს, რომ იქნება მუდამ ჩვენს შორის ერთობა, ველით თქვენ მიერ მხარის დაჭერას და ვიმედოვნებთ, რომ შეავსებთ ჩვენ ჯერჯერობით ვერე მკრთალ მწკრივებს და ამრიგად გაერთიანებულნი—კეთილ იმედით და სამართლიანობის გამარჯვების რწმენით, მტკიცედ გავეშურებით საბრძოლველად საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი უფლებების მოსაპოვებლად და სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

ხელს აწერენ: მ. ზავაცისა, მ. ბაგრატიონისა, ე. ბუზრუჩკო, მ. კაზუმ-ბეგისა, ე. ხავეოკო.

P. S. ამგვარივე მოწოდება დაეგზავნა დანარჩენ ერების ქალებსაც.

